არჩეული წარმომადგენლების ფინანსური პასუხისმგებლობა უფლებამოსილებათა განხორციელებისას მოქმედების ან უმოქმედობისათვის

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება

მომზადებულია მეტრ ფილიფ პეტისთან თანამშრომლობით

მიღებულია 1998 წლის 2-5 ივნისს, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, 21-ე შეხვედრაზე

ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები No. 67

ევროპის საბჭოს გამოცემა

შინაარსი

წინასიტყვაობა

რეკომენდაცია No. (99)8 ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელების პერიოდში მოქმედებისა და უმოქმედობის ფინანსურ პასუხისმგებლობაზე

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ქმედებასა და უმოქმედობაზე პასუხისმგრბლობის შესახებ

შესავალი

I. პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმები

ა. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობა

ბ. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების დისციპლინარული პასუხისმგებლობა

გ. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

დ. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა

II. პასუხისმგებლობის დადგომა

ა. ფინანსური ზარალისათვის პასუხისმგებლობის დადგომა

ბ. სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დადგომა

დასკვნები და სახელმძღვანელო პრინციპები

ტერმინთა განმარტება

წინასიტყვაობა

გამოცემა შეიცავს:

- მინისტრთა კომიტეტის No. R (99) 8 რეკომენდაციას ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისადმი ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების მიერ თავიანთი უფლებამოსილების პერიოდში ქმედებისა და უმოქმედობის ფინანსურ პასუხისმგებლობაზე

- ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენებას ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების მიერ თავიანთი უფლებამოსილების პერიოდში ქმედებასა და უმოქმედობაზე დაკისრებულ პასუხისმგებლობაზე.

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში - CDLR) ნაშრომი ეხება პასუხისმგებლობის ოთხ ძირითად სახეს, რომელიც არჩეული წარმომადგენლის საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება წარმოიშვას: სამოქალაქო პასუხისმგებლობა, დისციპლინარული, სისხლის სამართლის და პოლიტიკური პასუხისმგებლობა.თითოეული სახის პასუხისმგებლობის დეტალურად განხილვის შემდეგ, მოხდება CDLR-სიღრმისეულად მიუდგება საკითხს და სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობებს ერთმანეთთან დააკავშირებს. მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, შესაძლებელია თუ არა ოთხი სახის პასუხისმგებლობაზე არსებული დებულებების ერთ მთლიან კანონის ნაკრებად გარდაქმნა რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის უფლებების დაცვას, მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მიმართ ნდობის არსებობას და თავად არჩეული წარმომადგენლების სამართლებრივ დაცულობას .

No. R (99) 8 რეკომენდაცია და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის შეწავაზებული სახელმძღვანელო პრინციპები, ამ ნაშრომში წარმოადგენენ ფინანსური პასუხისმგებლობის ნაწილს. აღნიშნული რეკომენდაცია მომზადდა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების საფუძველზე და მხედველობაში ასევე იყო მიღებული ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის (CLRAE) მოსაზრებები.

მინისტრთა კომიტეტის No. R (99) 8 რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელების პერიოდში მოქმედებისა და უმოქმედობის ფინანსურ პასუხისმგებლობაზე

(რეკომენდაცია მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტთა მოადგილეების 664-ე შეხვედრაზე, 1999 წლის 17 მარტს)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15 ბ მუხლის საფუძველზე;

მიიჩნევს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრ სახელმწიფოებში სოციალური და ეკონომიკური პროგრესის წახალისება და მათ შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას და რომ ეს მიზანი შესაძლოა მიღწეული იქნას, ერთობლივი ძალისხმევითა და თანამშრომლობით სოციალურ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებზე;

მიიჩნევს რა, რომ ადგილობრივი საარჩევნო ფუნქციების თავის თავზე აღებით, მოქალაქეების აქტიური ჩარევა ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეების მართვაში ეფექტური ადგილობრივი დემოკრატიის წინაპირობაა და, იმისათვის რომ მიღწეული იყოს ამგვარი აქტივობა, მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს როგორც მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მიმართ ნდობა, ასევე თავად არჩეული წარმომადგენლების სამართლებრივი დაცულობა;

მიიჩნევს რა, რომ არჩეული წარმომადგენლების სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირდაპირ მოქმედებს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის უპრობლემო ფუნქციონირებაზე;

მიიჩნევს რა, რომ ასეთი სახის სისტემის ჩამოყალიბების დროს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოქალაქეების, სახელმწიფოს, სხვადასხვა ტერიტორიული სახელმწიფო ორგანოების და არჩეული წარმომადგენლების ინტერესები;

მიიჩნევს რა, რომ არჩეული წარმომადგენლები მოსახლეობის მიმართ სრულად ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ და რომ ადგილობრივი და რეგიონული არჩეული წარმომადგენლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფექტური ადგილობრივი დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტია;

მიიჩნევს რა, რომ მიუხედავად იმისა თუ რა სახის უკმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი არჩეული წარმომადგენელთა მხრიდან ამ სახის პასუხისმგებლობათა განცორციელებამ, და რომ ზოგიერთი დებულება რომელიც ფინანსურ პასუხისმგებლობას ეხება შესაძლოა გამართლებული და გამყარებული იყოს მათივე კომპლექსური ხასიათის მოვალეობებითა და არჩევითი სტატუსით;

ითვალისწინებს რა, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენებას ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სამსახურეობრივი მოვალეობის დროს ქმედებასა თუ უმოქმედობაზე პასუხისმგებლობის შესახებ;

ითვალისწინებს რა, აღნიშნულ საკითხზე ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის მოსაზრებას (წინადადება 9 (1998)),

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

1. გადახედონ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ფინანსური პასუხისმგებლობის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ჩარჩოებს, აქვე, გაითვალისწინონ სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული წინანდადებებ, რომლებიც თან ერთვის ამ რეკომენდაციას;
2. ჩართონ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით გასატერებელი რეფორმების და მათი გატარების პროცედურების განხილვაში.

No. R (99) 8 რეკომენდაციის დანართი

სახელმძღვანელო პრინციპები არჩეული წარმომადგენლების უფლებამოსილების განხორციელების დროს ქმედებასა და უმოქმედობაზე ფინანასური პასუხისმგებლობის შესახებ

განმარტებები

ა. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლები არიან ისინი, რომლებიც ადგილობრივ ასამბლეებში (შუალედურ დონეზეც) ან თავიანთ აღმასრულებელ ორგანოებში ფლობენ პირდაპირ და არაპირდაპირ საარჩევნო მანდატს;

ბ. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ფინანსური პასუხიმგებლობა ითვალისწინებს გაუმართლებელი ზიანის/ზარალის ანაზღაურებას ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ჩათვლით;

დ. კანონის თანახმად ზარალი გაუმართლებლად მიიჩნევა მაშინ, როდესაც დაზარალებული პირის მხრიდან შეუძლებელია ატანა და შესაბამისად უფლება აქვს ამისათვის კომპენსაცია მოითხოვოს.

სახელმძღვანელო პრინციპების მიზნები

აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები უზრუნველყოფენ რომ:

ა. ყველა, ვისაც ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის ქმედების ან უმოქმედობის შედეგად გაუმართლებელი ზარალი/ზიანი მიადგა,მიიღებს სრულ და დაუყოვნებელ კომპენსაციას;

ბ. ზოგადად, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ საქმე არ აღიძვრება თუკი დამტკიცდება რომ ისინი კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ;

გ. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მხრიდან ფინანსური პასუხისმგებლობის შემთხვევების შემცირების მიზნით, გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

I. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიმართ ფინანსური პასუხისმგებლობის გამოყენება და კომპეტენციის ჩარჩოები

1. დაზარალებული პირის ჩივილისა და კომპენსაციის მიღების უფლება

პირებს, ვისაც ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მხრიდან ქმედების ან უმოქმედობის შედეგად გაუმართლებელი ზარალი/ზიანი მიადგათ, ყოველთვის უნდა ქონდეთ შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ ჩივილისა და მისი მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლება. ამ შემთხვევაში, კომპენსაციის ანაზღაურება არ უნდა იყოს დამოკიდებული არჩეული წარმომადგენლების მხრიდან არამართლზომიერი ქმედების მამტკიცებელი საბუთის არსებობაზე, რომლებიც შესაძლოა ინდივიდუალურად იყვნენ პასუხისმგებელნი.

იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულ პირს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ ჩივილისა და მისი მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლება აქვს, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიმართ პირდაპირი სამართლებრივი ზომების გატარება უნდა გამოირიცხოს, ან დაიშვას ისეთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მათი მხრიდან საქმე ეხება აშკარა დაუდევრობით ან ბოროტი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს.

2. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიმართ ადგილობრივი ზარალის/ზიანის მიყენების გამო არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობა

ზარალის/ზიანის მიყენების გამო, ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ზოგადად, უნდა დაიშვას ისეთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მათი მხრიდან საქმე ეხება აშკარა დაუდევრობით ან ბოროტი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს.

სადაც კანონით ასეთი შეზღუდვები დაწესებული არ არის, იმ ორგანოს, რომელსაც ბრალეული ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ ჩივილის უფლება აქვს, ამ უფლების არგამოყენების არჩევანი უნდა გააჩნდეს. ამის მაგალითი შესაძლოა იყოს უმნიშვნელო დაუდევრობა ან როდესაც კეთილსინდისიერება ეჭვს არ იწვევს და სადაც, ვითარებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის მიერ გამოვლენილი იყო ყურადღებისა და მზრუნველობის ფაქტები.

3. პიროვნული პასუხისმგებლობა საჯაროდ მიღებულ კოლეგიალურ გადაწყვეტილებებზე[1]

კოლეგიალური ორგანოს მიერ, საჯაროდ არაკანონიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გამორიცხვის მიზანშეწონილობა უნდა შეფასდეს, თუ ისინი ოფიციალურად ემიჯნებოდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას, იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია კოლეგიალური ორგანოს თითოეული წვერის კენჭისყრის პასუხის გაგება..

4. ფინანსური ადმინისტრაციული სანქციები

ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიმართ ავტომატური ფინანსური სანქციის მექანიზმების გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხული უნდა იყოს; აღნიშნული სანქცია შესაძლოა დაწესებული იყოს მხოლოდ საპასუხო მოსმენის შემდეგ, რომლის შედეგადაც დადგება სასამართლო ან სასამართლო წარმოების უფლების გაცემა, და მას შემდეგ რაც დადასტურდება პირის მიერ აშკარა დაუდევრობით ან ბოროტი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის ფაქტი.

5. სასამართლო სპეციალიზაცია

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მზარდი კომპლექსურობის, ტექნიკურობისა და ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სასამართლოების სპეციალიზირებული განაყოფის ჩამოყალიბება, რომლებიც კომპეტენტურნი იქნებიან განიხილონ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხები. ასევე, მიზანშეწონილია

---

[1] ამ გადაწყვეტილების მიღებისას, საფრანგეთის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ მინისტრთა მოადგილეების შეხვედრის რეგლამენტის 10.2c მუხლის თანახმად, მისი მთავრობა რეკომენდაციის დანართის I. 3 პარაგრაფის დებულების მიღების ან არ მიღების უფლებას იტოვებდა.

სპეციალური ტრენინგების ჩატარება იმ მოსამართლეთათვის, რომლებსაც ამგვარი საქმეების განხილვა ევალებათ.

6. დამოუკიდებელ სპეციალისტთა ორგანოების წინასწარი დასკვნები (მოსაზრებები)

სასამართლო სპეციალიზაციასთან ალტერნატიული დამოუკიდებელ სპეციალისტთა ორგანოები შესაძლოა შეიქმნას, რომელთა მოსაზრებები (დასკვნები) შესაძლოა ან უნდა იქნას გაზიარებული მოსამართლეთა მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანამდე ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: არჩეული წარმომადგენლის ქმედება, განსახილველი გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება; და თუ რომელი არჩეული წარმომადგენლები შეიძლება დაიკითხნონ წინასწარ

II. პირდაპირი განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულთა რაოდენობის შემცირების ღონისძიებები

1. რეგულაციათა ტექსტის გამარტივება

სადაც შესაძლებელია, იმ კანონთა, დებულებათა და სხვა წესების, კერძოდ კი, მინისტრთა ბრძანებულებებისა და განკარგულებების რაოდენობა, რომელთა გამოყენებაც ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებს ევალებათ, უნდა შემცირდეს; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ძირითადი სფეროებისთვის მოქმედი კანონმდებლობა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი კონსოლიდირებული კანონმდებლობის სახით.

2. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ტრენინგი და ინფორმირება

ყველანაირი საშუალებით ხელი უნდა შეეწყოს და წახალისდეს ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მხრიდან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირებული დირექტივების მიმცემი ტექსტებისა და საკანონმდებლო აქტებზე ინფორმაციის შეგროვების, ორგანიზების, ანალიზისა და დამუშავების თანამედროვე სისტემების დანერგვის ყოველგვარი ინიციატივა

ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარებისათვის დახმარება უნდა გაეწიოთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის იმ სამართლებრივი ტექსტების ცოდნის გაუმჯობესებაზე რომლთა გამოყენებაც მათ უწევთ და ასევე, იმ

კანონების ცოდნაზე, რომელებიც მათი მხრიდან აღნიშნული დებულებების დარღვევის შემთხვევაში მოქმედებს.

ყველანაირი საშუალებით უნდა ხელი შეეწყოს და წახალისდეს ადგილობრივი ხელისუფლების ეროვნული ასოციაციების მხრიდან ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებისათვის მათ მიმართ არსებული პასუხისმგებლობის სისტემისა და სამართლებრივი ტექსტების ცოდნის გაუმჯობესების მცდელობებს.

3. შიდა სამართლებრივი კონტროლი

მიღებული უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი პირობა, რის საფუძველზეც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შიდა სამართლებრივი კონტროლის მექანიზმების გამოყენების უფლება მიეცემათ, წახალისდეს მათი პრაქტიკული განხორციელება და რეგულარულად შეფასდეს მათო მოქმედება მათს გასაუმჯობესებლად გარკვეული ღონისძიებების გატარების მიზნით.

III. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის უმოქმედობასა ან ქმედებებზე ფინანსური პასუხისმგებლობის დაზღვევა

1. დაზღვევა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ ფინანსური პასუხისმგებლობის დაზღვევა.

2. დაზღვევა ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებისათვის

თავიანთი ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სახელით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ უმნიშვნელო დაუდევრობითა და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულზე ფულადი პასუხისმგებლობის დაზღვევა იქონიონ.

3. ერთობლივი დაზღვევა

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებს უფლება უნდა ქონდეთ ჩამოაყალიბონ ერთობლივი დაზღვევის ორგანოები

ზემოაღნიშნული რისკების დასაფარად. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა ყველა არსებული საშუალებით უნდა შეუწყოს ხელი ასეთი ორგანოების ჩამოყალიბებას.

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ქმედებასა და უმოქმედობაზე პასუხისმგებლობის შესახებ

მომზადებულია მეტრ ფილიფ პეტისთან თანამშრომლობით

შესავალი

1. ### ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი

ევროპაში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობა, დამახასიათებელია კანონის უზენაესობის პრინციპით მართვადი სახელმწიფოთათვის. იგი მოიცავს იმ ძირეული პრინციპებს რომლებიც დაცულია 1789 წელის 26 აგვისტოს მიღებულ ადამიანისა და მოქალაქეების უფლებების ფრანგული დეკლარაციის XV მუხლში:

”საზოგადოებას უფლება აქვს მიმართოს ნებისმიერ საჯარო პირს და მოითხოვოს მისგან ადმინისტრაციული საქმიანობის ანგარიში.“

ბალანსი ახლა ფიზიკურ პირთა უსაფრთხოების ზომებისა და პასუხისმგებლობის თანამედროვე მოთხოვნებისკენ იხრება. აქამდე საჯარო ხელისუფლების დაცვის და დამოუკიდებლობის საკითხი უფრო მნიშვნელოვანი იყო, საზოგადოებრივი ინტერესებისა და საზოგადოების სასიკეთოდ უფლებამოსილების გამოყენების კონცეფციიდან გამომდინარე.

ეს ზოგადი ფენომენი ეხება ადგილობრივ სახელმწიფო მართვაში მონაწილე იმ პირებს, რომელთა პასუხისმგებლობა იზრდება და მოიცავს პასუხისმგებლობას როგორც საკუთარ, ასევე თავიანთი კოლეგების ქმედებაზე, უმოქმედობაზე ასევე განზრახ და დაუდევრობით ჩადენილ ქმედებებზე.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობიდან გამომდინარე (ფედერალური თუ უნიტარული, ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული), ადგილობრივი

ხელისუფლების ორგანოების გაძლიერების საპირწონე – გაზრდილი პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა განსხვავდება.

ეს პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ თემსა (აბსტრაქტული ერთეული) და ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებს (ფიზიკური პირები) შორის არის განაწილებული. ამჟამად, უფრო და უფრო დიდი მოთხოვნა არის საზოგადოების მხრიდან სახელისუფლებლო ძალაუფლების ინდივიდში განსახიერებისა, რაც გულისხმობს დამნაშავე მხარის გამოვლენას საფრთხის, ზიანი/ზარალის ან დაზარალებული მხარის არსებობის შემთხვევაში.

ამგვარი ტენდენცია გამომდინარეობს ერთი მხრივ, ხელისუფლების ორგანოების პრეროგატივების შემცირებიდან და, მეორე მხრივ, მოსახლეობის მხრიდან თავიანთი უფლებების უკეთესად ცოდნიდან. აღნიშნული ტენდენცია მეტად პასუხისმგებელი და ეფექტური დემოკრატიის ნიშანია.

თუმცა, იგი საფუძვლიანი შეშფოთების საბაბს აღძრავს ადგილობრივ წარმომადგენლებში, და ზოგ ქვეყანაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ მან მიაღწია თავის ზღვარს ეფექტურობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების კუთხით.

იმ ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირებით, რომლებიც საყოველთაო საარჩევნო უფლების გამოყენებით არიან შექმნილნი და რომელთა ლეგიტიმურობა ეფუძნება არჩევნებს, მათი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ჩნდება კონკრეტული კითხვები. ის მიდგომები, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფო იყენებს ამ პრობლემათა გადასაჭრელად, ეხება სუვერენიტეტს და ხშირ შემთხვევაში თავად კონსტიტუციასთან ასოცირდება, ასახავს ცალკეული ერების როგორც ისტორიას, ასევე კულტურას. აღნიშნული მიდგომები გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ზოგჯერ მეტად ძნელია სამართლიანი ბალანსის დადგენა როდესაც საქმეში მრავალი დაინტერესებული მხარეა ჩართული.

2. ინტერესები, რომლებიც "ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობის შესახებ„ კანონებმა უნდა მოაწესრიგოს

იმ მხარეთა ინტერესები რომლებიც, "ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობის შესახებ" კანონების დადგენისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის პრინციპის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ესენია: მოქალაქის (როგორც საზოგადოების წევრი, რომელსაც ზიანი/ზარალი მიადგა, გადასახადის გადამხდელი ან ამომრჩეველი), არჩეული წარმომადგენლების, ზოგადად ადგილობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესები.

ა. დაზარალებულის მხრიდან მიყენებული ზარალის/ზიანის კომპენსაციის უფლება

ყველა ევროპულ სახელმწიფოში, neminem laedere-ს პრინციპი ეხება ხელისუფლების ორგანოებს და მდგომარეობს იმაში, რომ მათ აქვთ მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის/ზარალის კომპენსირების ვალდებულება როდესაც, მათი ქმედებებით უკანონოდ ირღვევა უკანასკნელის უფლებები. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და ეჭვები თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პრინციპების პრაქტიკაში გატარება. მაგალითად, ზიანის რაოდენობრივი შეფასების საკითხის დასმის შემთხვევაში, ღიად რჩება თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საკითხი, რა პროცედურები უნდა გატარდეს და რა დრო უნდა იყოს გასული ზიანის მიყენებიდან მის კომპენსაციამდე. გარდა ამისა, გამოსავლის არჩეულ გზებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივ თანხმობის და მოწონების მიღწევა ყოველთვის ვერ ხერხდება.

ბ. საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების და კანონიერების ზედამხედველობის ზოგადი ინტერესი

სახელწიფოს გააჩნია ვალდებულება იმოქმედოს კანონის უზენაესობიდან გამომდინარე, უფრო კონკრეტულად, მას ევალება სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაცვა ყველანაირ ვითარებაში. თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, ადგილობრივი წარმომადგენლების მხრიდან ნებისმიერი დევიანტური (ნორმიდან გადახრილი) საქციელი, უდავოდ მიიჩნევა უკიდურესად მძიმედ და საზოგადოების მხრიდან არსებობს მოთხოვნა მსგავს შემთხვევებში სახელმწოფომ გამოავლინოს უკიდურესი სიმკაცრე.

საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მართვაში ჩართული პირები არა მარტო უნდა იცავდნენ კანონს, არამედ უნდა იცავდნენ უფრო მკაცრად რეგულირებად ქცევის კოდექსს რათა არ მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გადაგვარება, საზოგადოებრივი ინტერესებზე ზრუნვის შემცირება და უკიდურეს შემთხვევაში, პირდაპირ თუ ირიბად, პირად სარგებელზე ზრუნვა.

გ. მოქალაქეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი სახსრების სათანადოდ მართვის ინტერესი

ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირება არის ის საკითხი, სადაც ყველა მხარის ინტერესი იდენტურია: მოქალაქეები, ადგილობრივი საზოგადოება, სახელმწიფო და ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლები – ყველა მათგანი ამ პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეა.

საზოგადოებრივი საკუთრება ეკუთვნის გადასახადის გადამხდელებს და მათ უფლება აქვთ ამ ქონების განმკარგველი ხელისუფლებას მათ მიმართ ანგარიშვალდებულება მოსთხოვოს. მოქალაქეების მიერ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლები არჩეულნი არიან უფრო მეტად მმართველობითი ფუნქციის განხორციელებისათვის, ვიდრე კანონებისა და რეგულაციების მიღების მიზნით. თავიანთი მმართველობითი (მენეჯერული) უნარები პატიოსნებასთან ერთად, წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორებს მათი დაკავებულ თანამდებობასთან (საჯარო თანამდებობის ტვირთიდან გამომდინარე, რომელიც მათ საზოგადოებამ დააკისრა) თავსებადობის საკითხის განხილვისას. ადგილობრივი დემოკრატიის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა არსებობდეს მოქალაქეების რწმენა თავიან არჩეულ წარმომადგენლებში, მათ ცოდნასა და უნარებში. მათზე პასუხისმგებლობის დაკისრება არა მარტო მიმთვისებელთა, არამედ იმ პირებთა დასჯაც არის, ვინც საზოგადოებრივ სახსრებს უყაირათოდ ხარჯავს. სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ზოგადი ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ანგარიშგების და ფინანსური მმართველობითი კონტროლის სისტემების შემოღებით.

დ. არჩეული წარმომადგენლების ინტერსი არსებობდეს პირადი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი მკაფიო კანონები და სისტემის ხარვეზების გამო არ დგებოდეს მათი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი

არჩეული წარმომადგენლებიც ისეთივე გამართული სამართლებრივი ბაზით უნდა სარგებლობდნენ, როგორც სხვა ნებისმიერი მოქალაქე. მათ უნდა შეეძლოთ გააცნობიერონ ის ვალდებულებები, რომლებიც თან ახლავს სამუშაო მანდატის განხორციელებას საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. მათი უფლებამოსილებანი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული გასაგები და რამდენადაც შესაძლებელია მარტივი სამართლებრივი ჩარჩოთი; ისინი არ უნდა გვევლინებოდნენ სისტემის ნაკლოვანების მსხვერპლებად.

ე. ამომრჩევლის ინტერესი ყავდეს ისეთი არჩეული წარმომადგენელი, რომელიც ზიანის/ზარალის გამოწვევის შედეგად დევნის შიშით არ მოახდენს თავისი საქმიანობის პარალიზებას

არჩეული წარმომადგენელი, რომელიც მუდმივად სამართლებრივი დევნის საფრთხის ქვეშ არის, მოვალეობების შესრულებისაგან თავის შეკავების შედეგად იმდენივე საზოგადოებრივ სახსრებს ფლანგავს, რამდენსაც არაკომპეტენტური და არაკეთილსინდისიერი პირი. მთავრობის ვალია, არჩეული წარმომადგენლები უზრუნველყონ არა მარტო მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო სახსრებით, არამედ

იმ სამართლებრივი ჩარჩოთი რომლის საშუალებითაც ისინი კეთილგონივრულად და ეფექტურად შეძლებენ მიიღონ და განახორციელონ მენეჯერული გადაწყვეტილებები.

3. ნაშრომის სფეროს განსაზღვრა

აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება ევროპის საბჭოს თოთხმეტი ქვეყნიდან მიღებულ ინფორმაციას. შესაძლოა მასში არ აისახოს ამ სფეროში არსებული ყოველი ევროპული სახელმწიფოს თავისებურება, თუმცა აღწერილი ვითარება მეტად წარმომადგენლობითია და აღწერს იმ პასუხისმგებლობის ფორმებს, რომლებიც ევროპელ არჩეულ წარმომადგენლებზე ვრცელდება, პასუხისმგებლობის აღსრულების პროცედურებს და გამოვლენილ პრობლემებს.

მოხსენება ყურადღებას ამახვილებს ძირითადად ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებზე; თუმცა მისი შედეგები შეიძლება განზოგადებული იყოს მსგავსი სტატუსის მქონე და ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბებულ, საკანონმდებლო ძალაუფლების არმქონე, სხვა ტერიტორიულ სახელმწიფო ორგანოებში მომუშავე არჩეულ წარმომადგენლებზე.

მოხსენების სათაურიდან გამომდინარე, მოტანილია რამდენიმე განმარტება. პირველი რაც ეხება ადამიანებს - აღნიშნულ კატეგორიას წარმოადგენენ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლები - რადგანაც მნიშვნელოვანია, იყოს მკაფიო განსხვავება ამ კატეგორიასა და უფრო ფართო ადგილობრივ წარმომადგენელთა კატეგორიას შორის; ხოლო მეორე, "პასუხისმგებლობის" ტერმინს ეხება.

ა. განსხვავება "ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებსა და "არჩეულ წარმომადგენლებს შორის

ტერმინი "ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლები" ეხება ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურში არჩეულ ადამიანებს. ესენია: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საბჭოს წევრები, რომლებსაც აღმასრულებელი ფუნქცია შეიძლება ეკისრებოდეთ ასამბლეების მიერ, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, და ზოგიერთ ქვეყანაში პირდაპირი გზით არჩეული მერები (ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების მეთაური).

"ადილობრივი წარმომადგენლის" ცნება უფრო ფართოა. იგი გულისხმობს ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურში მყოფ ყველა ადამიანს. აქედან გამომდინარე, მასში მოაიზრება გადაწყვეტილების მიმღები და ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს ყველა წევრი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით არჩეული ან დანიშნული.

იმის მიუხედავად, რომ მოხსენებაში საუბარია არჩეულ წარმომადგენლებზე, აღნიშნული ვალდებულებები შეიძლება არჩეულ ადგილობრივ წარმომადგენლებზეც გავრცელდეს. შესაძლოა ასეთი ფორმულირება: მოხსენებაში აღწერილი ანალიზი და დასკვნები ერთნაირად გავრცელდეს ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების წევრებზე (რომლებიც დანიშნულები და არა არჩეულები არიან).

აქვე, აუცილებელია იმის მითითება, რომ დანიშნული და არა არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა განიხილებოდეს სხვა პირობების გათვალისწინებით.

B. კვლევაში განხილული პასუხისმგებლობის ტიპები

პასუხისმგებლობის ფორმები რომლებიც ევროპელ არჩეულ წარმომადგენლებზე ვრცელდება არ ქმნიან ერთ კონცეპტუალურ მთლიანობას რადგანაც მასში მოიაზრება რამდენიმე სახის "პასუხისმგებლობა" , რომელთა ფორმა და ინტენსივობა განსხვავდება როგორც დაინტერესებული მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, ისე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებიდან გამომდინარე. ესენია - ძალაუფლების გამოყენებული ფორმები, ზიანის/ზარალის ფორმა, სახეები და დანაშაულის სიმძიმე (რომლის წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაც არის შესაძლებელი), თუმცა დანაშაულის არსებობა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ეს მოხსენება არ ეხება ისეთი სახის პასუხისმგებლობას (სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა), რომლებიც არჩეული წარმომადგენლების მხრიდან, ისევე როგორც ნებისმიერი მოქალაქის მხრიდან, პირადი ცხოვრების შედეგად დგება.

ყველა განხილულ ქვეყნაში, არჩევითი მოვალეობების შესრულების დროს გამოკვეთილია ოთხი ტიპის პასუხისმგებლობა: სამოქალაქო, დისციპლინარული, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ყოველ მათგანს თავისი კანონები გააჩნია. თოთოეული მათგანი მოხსენების პირველ ნაწილში დეტალურად არის განხილული.

სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის განხორციელება ერთმანეთისაგან იზოლაციაში ვერ მოხდება. შესაბამისად, მოხსენების მეორე თავში პრობლემისადმი საფუძვლიან მიდგომით, საუბარია განსხვავებულ პასუხისმგებლობათა შორის კავშირების დამყარებაზე და, იმის დადგენაზე არის თუ არა შესაძლებელი არსებული ოთხი სახის პასუხიმგებლობის დებულებების ერთიან კანონთა კრებულად ჩამოყალიბება.

მოხსენებაში გამოყენებულია CDLR-ის ნაშრომები ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, უფრო კონკრეტულად კი, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სტატუსსა და

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობაზე.2 კვლევაში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე ევროპის საბჭოს ფარგლებში ჩატარებულ საქმიანობაზე საჯარო სფეროსა და ადგილობრივ დონეზე სტანდარტების ამაღლების კუთხით.

I. პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახეები

ა. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობა

თავიდანვე ნათელი უნდა იყოს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ტიპი, რომელიც აქ არის განხილული, ეხება კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ან უმოქმედობას, რომლის შედეგად დადგა ზარალი/ზიანი. ეს კატეგორია, ნათლად უნდა იყოს განსხვავებული საჯარო ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ან დიდი ოდენობის ზარალის კომპენსაციის (ნაწილობრივი ან მთლიანი) ვალდებულებისაგან, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. [3]

1. მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზარალის/ზიანის კომპენსაციის ვალდებულება

ზოგადად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოწვეულია პიროვნული დანაშაულით; მიუხედავად ამისა, იგი აგრეთვე შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეშევრდომთა საქმიანობიდან; ან თუნდაც, როდესაც არ არსებობს რეალური დანაშაული რა დროსაც იგი ცნობილია, როგორც ობიექტური პასუხისმგებლობა (პასუხისმგებლობა დანაშაულის გარეშე). ხოლო პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება დაზარალებულისათვის კომპენსირების ვალდებულების საკითხის დაყენებას იწვევს.

ყველა ისეთი ტიპის სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპით იმართება, ხელისუფლების ორგანოები პასუხიმგებელნი არიან თავიანთი კანონიერი უფლებამოსილების განხორციელებაში, არის ეს გადაწყვეტილების მიღება (რეგულირების ფუნქციის ჩათვლით) თუ თავად გადაწყვეტილების აღსრულება. მოქალაქისათვის

---

[2] იხილეთ CDLR-ის მოხსენებები " *სამუშაო პირობები და სტატუსი ადგილობრივი და რეგიონული ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების* (კვლევების სერია "ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები", No. 46) და "ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობა და აუდიტი (კვლევების სერია "ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები", No. 66).

[3] კანონიერი ქმედებებიდან ტიპიური კომპენსაციის შემთხვევები შესაძლოა წარმოიშვას სავალდებულო შესყიდვისა და ურბანული დაგეგმარების სფეროში

კომპენსაციის გადახდა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი უკანონობის მსხვერპლი გახდა საჯარო მოხელის ან ადგილობრივი ხელისუფლების არჩეული წარმომადგენლის მხრიდან დაუდევრობის ან უმოქმედობის გამო.

გარკვეულ შემთხვევებში კომპენსაციის მიღების უფლება კონსტიტუციის ძალით არის გარანტირებული, მაგალითისათვის, იტალიაში სლოვაკეთსა და ესპანეთში. თუმცა შესაძლოა გამომდინარეობდნენ კონსტიტუციიდან ან საკანონმდებლო დებულებებიდან, რომელიც ყოველ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას სასამართლოში გაასაჩივრონ სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ის გადაწყვეტილება, რომელიც მათ უფლებებს არღვევს.

გარდა ამისა, კომპენსაციის უფლების საკითხი წარმოადგენს სახელმწიფოსა და მოქალაქეების შორის ურთიერთობის საგანს. ზოგად კი, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზარალის/ზიანის კომპენსაციის საკითხი სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება.

თუ მის გამოყენებას რომელიმე გარდამავალი დებულება არ კრძალავს, აღნიშნული წარმოადგენს იმ საჯარო მოხელეების მიმართ საქმის აღძვრის დამატებით იურიდიულ საფუძველს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარ ზარალზე/ზიანზე და დაზარალებულებს შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ მათგან მოითხოვონ კომპენსაცია.

2. ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოების პასუხისმგებლობის და არჩეული წარმომადგენლებისათვის ზარალის/ზიანის მიყენებაზე ბრალდების წაყენების პრინციპი

როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო (ან მისი ადმინისტრაცია) გამოიწვევს ზარალს, მაშინაც კი, როდესაც შესაძლებლობა არსებობს სამართალწარმოების აღიძრას პირდაპირ არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ (ან საჯარო პირის), არსებობს ტენდენცია სამართალწარმოება მიმდინარეობდეს უშუალოდ ხელისუფლების ორგანოს , როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის წინააღმდეგ.

აღნიშნული ტენდენცია გამომდინარეობს არა მარტო არჩეული წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეების, არამედ თავად დაზარალებული მოქალაქეების დაცვის მიზნით,; ასეთ ვითარებაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები გადახდისუნარიანი იქნებიან და მოქალაქეებს აღარ მოუწევთ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამტკიცება. როდესაც საქმე არჩეულ წარმომადგენლებს ეხება, ხელისუფლება გამოვა მის დამცველად. მიუხედავად ამისა, არჩეული წარმომადგენლები დაცულნი და განთავისუფლებულნი არ არიან ყველა სახის პასუხისმგებლობისაგან, რადგანაც, ზოგადად, თავად ხელისუფლებას, რომლის მხრიდანაც ზარალის ანაზღაურება მოხდა, შეუძლია საქმე აღძრას იმავე არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ ზარალის უზრუნველყოფის მიზნით.

ზოგიერთ ქვეყანაში ზარალის უზრუნველყოფის მოთხოვნის წინაპირობა უნდა იყოს დანაშაული, რომელიც ჩადენილია (რომელიც ზარალის/ზიანის დადგომის წინაპირობაა) წინასწარი და ბოროტი განზრახვით. სახელმწიფოებს სხვადასხვაგვარი მიდგომა გააჩნიათ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ვალდებულების საკითხისადმი. ზოგიერთ

ქვეყანაში ასეთი წარმომადგენლებს, მაგალითად სახელმწიფო მოხელეებს არ ეხებათ პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც ადგილობრივი აღმასრულებელი ხშირ შემთხვევაში არ გვევლინება არჩეულ წარმომადგენლად, არამედ წარმოადგენს საჯარო მოხელეს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობრივი საბჭოს წევრთა და აღმასრულებელთა პასუხისმგებლობას შორის დიდი სხვაობაა. კოლეგიური პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს არჩეული წარმომადგენლის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

პირველ ცხრილში მოცემულია არჩეული წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ჩადენილი დანაშაულისათვის მოცემულ ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარიაში ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება ოლქების კანონმდებლობით.

ცხრილი 1. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა

ქვეყანა	სამართალწარმოება ადმინისტრაციის წინააღმდეგ	არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობა
ავსტრია		არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.
ბელგია	მუნიციპალიტეტი პირადად არის პასუხისმგებელი თავისი სტრუქტურების საქმიანობაზე. პირდაპირი დანაშაული (ბრალეულობა)ამ პასუხისმგებლობის დაყენებისათვის საკმარისია.	საკასაციო სასამართლოს თანახმად, მუნიციპალიტეტების პირად პასუხისმგებლობასთან ერთად შესაძლოა დადგეს უშუალოდ ორგანოს პირადი პასუხიმგებლობის საკითხი ბრალეულობის და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. პრაქტიკაში რეგრესულ საჩივარს ადგილი აქვს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საქმე მეტად სერიოზულ დანაშაულს ეხება.

საფრანგეთი	ყველა დონეზე (მუნიციპალურ, დეპარტამენტულ, რეგიონულ და სახელმწიფო) ადმინისტრაცია პირდაპირ პასუხისმგებელია არჩეული წარმომადგენლის მიერ (მოვალეობის შესრულების პერიოდში) მესამე მხარისათვის მიყენებულ ზარალზე/ზიანზე.	არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა დადგეს მხოლოდ მისი მხრიდან მნიშვნელოვანი უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელსაც სამსახურეობრივ საქმიანობასთან კავშირში არ აქვს. მნიშვნელოვანია თავად ფაქტი, რომ პასუხისმგებლობის საკითხი დგება უშუალოდ ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ. ხოლო შემდეგ თავად ხელისუფლების ორგანოს შეუძლია ზარალის უზრუნველყოფა არჩეულ წარმომადგენელს დააკისროს.
გერმანია	სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მესამე მხარის საჩივრის საფუძველზე, რომელიც არჩეული წარმომადგენლის (მოვალეობის შესრულების პერიოდში) ქმედებისა ან უმოქმედობის გამო დაზარალდა, საქმის აღძვრა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ ხდება.	ფედერალური კონსტიტუციის 34–ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელი ორგანოების მეთაურის (მუნიციპალიტეტების მერი) მიერ „სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების" დარღვევის შემთხვევაში ბოროტი განზრახვით ან უხეში დაუდევრობით, ადმინისტრაციას უფლება ენიჭება მათ წინააღმდეგ რეგრესის უფლება გამოიყენოს. აღნიშნული უფლების გამოყენება არ იზღუდება იმის მიუხედავად პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით არის არჩეული აღმასრულებელი ორგანოს მეთაური. აღნიშნული უფლების გამოყენება საბჭოს არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ, უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული ერთეულის *Länder –ს* სამართალს ადგილობრივი ხელისუფლების საფუძვლიდან გამომდინარე (*Kommunalverfassungen)*.
იტალია	სახელმწიფო პირის და სამოქალაქო მოსამსახურის მხრიდან მოვალეობის შესრულების პერიოდში (არჩეული წარმომადგენლების ჩათვლით) მესამე მხარისათვის უკანონო ზარალის/ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებელია როგორც ადმინისტრაცია ასევე უშუალოდ თანამდებობის პირი. მესამე მხარეს შეუძლია საქმე აღძრას ადმინისტრაციის, ბრალეული თანამდებობის პირის ან ორივე მათგანის წინააღმდეგ.	კონსტიტუციის 28–ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო და საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები და სამოქალაქო მოსამსახურეები (არჩეული წარმომადგენლების ჩათვლით) პირადად არიან პასუხისმგებელნი იმ ქმედებებზე, რომლითაც კერძო პირთა უფლებები ირღვევა. ადმინისტრაციას უფლება აქვს ზარალის უზრუნველყოფა დააკისროს ბრალეულ პირის.

ლუქსემბურგი	უშუალოდ ადმინისტრაცია არის პასუხისმგებელი არჩეული წარმომადგენლების მხრიდან (მოვალეობის შესრულების პერიოდში) მესამე მხარისათვის უკანონო ზარალის/ზიანის მიყენების გამო.	კოლეგიური ორგანოს საქმიანობა გულისხმობს მხოლოდ ერთობლივი პასუხისმგებლობის საკითხს. აქედან გამომდინარე, ბურგომისტრები პასუხისმგებელნი არიან თავიანთ პირად ქმედებებზე, ხოლო ბურგომისტრების და ქალაქის თვითმმართველობის წევრთა კოლეგიის ფარგლებში ჩადენილ ქმედებებზე პასუხისმგებლობა კოლექტიურია: ყველა წევრი ერთობლივად პასუხისმგებელია მიღებულ გადაწყვეტილებებზე მათი მოსაზრების და კენჭისყრის შედეგების მიუხედავად.
პორტუგალია	კონსტიტუციისა (მუხლი 22) და „ადგილობრივ ავტონომიის შესახებ“ (მუხლი 90) კანონის თანახმად, ადმინისტრაციას პასუხისმგებლობა ეკისრება საჯარო მოხელეების (არჩეული წარმომადგენლების ჩათვლით) მხრიდან (მოვალეობის შესრულების პერიოდში) მესამე მხარისათვის უკანონო ზარალისზიანის მიყენების გამო. მესამე მხარეს შეუძლია საქმე აღძრას ადმინისტრაციის, ბრალეული თანამდებობის პირის ან ორივე მათგანის წინააღმდეგ.	პირის ან ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი დგება მათი საქმიანობის შედეგად ზიანის/ზარალის დადგომის დროს. ადმინისტრაციას უფლება აქვს ბრალეულ პირის ან ორგანოს ზარალის უზრუნველყოფა დააკისროს გარდა იმ შემთხვევებისა თუ: – ზარალი წარმოიშვა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას; – პირდაპირი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში; – მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი მოქმედებდა იძულების წესით ან მისთვის წერილობითი ბრძანების საფუძველზე.
რუმინეთი		ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება მათ მიერ ჩადენილ ქმედებებზე. „სახელმწოფო მმართველობის შესახებ“ კანონის თანახმად ადგილობრივი საბჭოს წევრები თანაბრად პასუხისმგებელნი არიან საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სლოვაკეთი	უშუალოდ ადმინისტრაცია არის პასუხისმგებელი თავისი არჩეული წარმომადგენლების მხრიდან (მოვალეობის შესრულების პერიოდში) მესამე მხარისათვის უკანონო ზარალის/ზიანის მიყენების გამო.	
ესპანეთი	უშუალოდ ადმინისტრაცია არის პასუხისმგებელი დამნაშავისა ან დანაშულის განსაზღვრის საჭიროების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ზარალი/ზიანი დათვლადი, დადგენადი და უკანონო გზით მიყენებული უნდა იყოს.	არჩეული წარმომადგენლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთ გადაწყვეტილებებზე მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი მიღებულია კოლეგიური გადაწყვეტილების ფარგლებში. „წვერებმა რომლებმაც ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებებს დაუჭირეს მხარი, პასუხისმგებლობაა უნდა აიღონ მათზე (“მუხლი 78-2 LRBRC). მნიშვნელოვანია თავად ფაქტი, რომ არსებული პირადი პასუხისმგებლობის მიუხედავად, კანონის თანახმად, საქმე აღიძვრება უშუალოდ ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ. ხოლო შემდეგ, თავად ხელისუფლების ორგანოს შეუძლია ზარალის უზრუნველყოფა რეგრესის გზით არჩეულ წარმომადგენელს დააკისროს.
შვედეთი	სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ კანონის თანახმად (272/1972), სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები თანაბრად პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო ორგანოების საქმიანობს დროს მათი მხრიდან უკანონო ზარალის/ზიანის დადგომის გამო.	კოლეგიურ ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა როგორც უკანონო ქმედებებზე, ასევე უმოქმედობაზე. არჩეული წარმომადგენლები არ შედიან „საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო მოხელეთა” კატეგორიაში რომლებსაც პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ; აქედან გამომდინარე, არჩეული წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი გამონაკლისს წარმოადგენს.

შვეიცარია	ყველა ოლქში ერთის გარდა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უშუალოდ არიან პასუხისმგებლები თავისი ორგანოების მხრიდან (მოვალეობის შესრულების პერიოდში) მესამე მხარისათვის უკანონო ზარალის/ზიანის მიყენებისათვის. არსებული ოლქებდან ნახევარში, პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება დაკავშირებულია ზარალის/ზიანის არსებობასთან, ხოლო მეორე ნახევარში, დანაშაული უნდა იყოს დასაბუთებული იმისათვის, რომ პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.	სადაც მუნიციპალიტეტის მხრიდან ხდება ზარალის ანაზღაურება, მას აქვს უფლება რეგრესის უფლება გამოიყენოს იმ ოფიციალურ პირს წინაარმდეგ რომლის უკიდურესმა დაუდევრობამ ან განზრაზ ქმედებამ ზარალის/ზიანის დადგომა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, რეგრესული გზით ზარალის უზრუნველყოფის დაკისრების უფლების გამოყენება უნდა მოხდეს როდესაც საქმე უკანონო ქმედებას ან უკიდურეს დაუდევრობას ეხება.
თურქეთი	უშუალოდ ადმინისტრაცია არის პასუხისმგებელი თავისი არჩეული წარმომადგენლების მხრიდან(მოვალეობის შესრულების პერიოდში) მესამე მხარისათვის უკანონო ზარალის/ზიანის მიყენებისათვის.	არჩეული წარმომადგენლები პირადად არიან პასუხისმგებელნი. ამ კანონის თანახმად, მიუხედავად არჩეული წარმომადგენლების პირადი პასუხისმგებლობისა, საქმე აღიძვრება უშუალოდ ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ. ხოლო შემდეგ თავად ხელისუფლების ორგანოს შეუძლია ზარალის უზრუნველყოფა რეგრესული გზით არჩეულ წარმომადგენელს დააკისროს.
გაერთიანებული სამეფო	უშუალოდ ადმინისტრაცია არის პასუხისმგებელი საჯარო მოხელეთა (არჩეული წარმომადგენლების ჩათვლით) მხრიდან (მოვალეობის შესრულების პერიოდში) მესამე მხარისათვის უკანონო ზარალის/ზიანის მიყენების გამო.	ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ კოლეგიური პასუხისმგებლობა თავიანთ უკანონო ქმედებებსა და უმოქმედობაზე; არცერთ არჩეულ წარმომადგენელს (ან სახელმწიფო მოხელეს) არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება და არ შეიძლება სამართალწარმოება მიმდინარეობდეს მის წინააღმდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საქმე ეხება აშკარა არაკეთილსინდისიერებას ან აშკარა დაუდევრობის შედეგად დამდგარ დანაშაულს.

ბ. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ანგარიშვალდებულება

წარმოდგენილი პრინციპი მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო ვალდებულებებისაგან, ვინაიდან იგი ითვალისწინებს არა ინდივიდუალური მოქალაქეების, არამედ ზოგადად, გადასახადების გადამხდელებისა და თვით საზოგადოების დაცვას: არჩეული წარმომადგენლის არასწორი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოების ზემოხსენებულ ნაწილს, წარმოშობს კომპენსირების საჭიროებას. უფრო მეტიც, ასეთი სახის ვალდებულებები შესაძლოა მოიცავდეს არჩეული წარმომადგენლების მიმართ დამსჯელი ღონისძიებების გატარებას.

გაერთიანებულ სამეფოში, არჩეულ ადგილობრივ წარმომადგენლებს, მათთვის გამოყოფილი თანხებიდან უკანონო ხარჯების გაწევის შემთხვევაში, შესაძლებელია დაეკისროთ პირადი პასუხისმგებლობა. "საურავის დაკისრება", რომელიც სათავეს იღებს 15-ე საუკუნიდან და განხილულია ადგილობრივი ხელისუფლების 1982 წლის ფინანსურ დადგენილებაში, (იშვიათად გამოიყენება; საშუალოდ წელიწადში ხუთი შემთხვევა) მაგრამ შესაძლოა ითვალისწინებდეს არჩეული ადგილობრივი საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრაციულ და/ან სამართლებრივ ღონისძიებებს. რეკომენდებულია სხვადასხვა სახის რეფორმითი ღონისძიებები, როგორიცაა; დაწესებულებიდან დისკვალიფიკაცია და საჯარო სამსახურის არამიზნობრიად გამოყენების საწინააღმდეგოდ ახალი სადამსჯელო ღონისძიების შემოღება სახელმწიფო დაწესებულების ფარგლებში კანონის დარღვევის ახალი ფაქტების წარდგენა. სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთა.

საფრანგეთში, არსებული ადგილობრივი წარმომადგენელი ძირითადად არ მოქმედებს როგორც მთავარი ბუღალტერი და არ გააჩნია საზოგადოებრივი ფონდების პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მართვის უფლება, მსგავსი უფლებამოსილებით სარგებლობს მხოლოდ ოფიციალური/კანონიერი ბუღალტერი. იმ შემთხვევაში, თუ იგი განიზრახავს ფონდების მართვის საკითხში ჩარევას, მიიჩნევა დე ფაქტო ბუხღალტრად და შესაბამისად ვალდებულია საკუთარი ქმედებების ანგარიში წარუდგინოს რეგიონული აუდიტის პალატას და სააუდიტო განხილვაზე გაიტანოს მოსასმენად). დარღვევებისა და ფულადი რესურსების არამიზნობრივად ხარჯვის შემთხვევაში, ბუღალტერი მიიჩნევა, საზოგადოებრივი ფონდების უკანონოდ მიმთვისებლად: იგი ვალდებულია აანაზღაუროს თანხის ნებისმიერი ოდენობა, რომლის გამოყენების მიზნობრიობასაც ვერ დაამტკიცებს.

1993 წლის 29 იანვარს კანონის ("საპინის კანონი") მიღების შემდეგ არჩეული წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან საბიუჯეტო და ფინანსური დისციპლინარული სასამართლოს წინაშე თანხების დე ფაქტო არამიზნობრივი გამოყენების ან სამართლებრივი გადაწყვეტილების შესრულებაზე უარის თქმის ან სხვებისთვის უკანონო უპირატესობების მინიჭების შემთხვევაში.

იტალიაში მმართველებისა ან სახელმწიფო მოხელეების მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებისას საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ისევე როგორც მმართველებსა და "ტოპ მენეჯერებს" თავისი ზემდგომებისგან ეკისრებათ გარე სანქციები.

ისევე როგორც საფრანგეთში, ძირითადად საბუღალტრო პასუხისმგებლობა ეკისრება ხაზინადარსა და სხვა ბუღალტრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამოქალაქო ფონდების განკარგვას ან პასუხისმგებელნი არიან მუნიციპალური ქონების მართვაზე; მსგავსი პასუხისმგებლობა მოიცავს ყველა სამოქალაქო სააგენტოს, რომელიც კონცენტრირებულია მსგავსი საკითხების მოგვარებასა და მართვაზე.

მენეჯერული ანგარიშის კონტროლს ახორციელებს აუდიტორიული საბჭო; კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ავტომატურად ამოქმედდება პასუხისმგებლობის

დასაკისრებელი ღონისძიებები. ამ მიზნით, სასამართლოს ეგზავნება სპეციალური ჯგუფი სახელმწიფო ბრალმდებლის სამსახურიდან, რომელსაც ენიჭება უფლებამოსილება მოითხოვოს სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში ზარალის ანაზღაურება. სამოქალაქო ბრალმდებელი დროებითი ორგანო, სასამართლოს მართლმსაჯულების ფარგლებში, უფლებამოსილ სასამარტლოსთან არის შექმნილი ზიანის ასანაზღაურებელი კომპენსაციის მიღებოს მიზნით

იმ შემთხვევაში, თუ კოლეგიალური ორგანოა პასუხისმგებელი კანონდარღვევებზე, პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ წევრებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს არაკონინიერ ქმედებას. თუ ზარალი გამომდინარეობს რამოდენიმე პიროვნების ქმედებიდან, შედეგად აუდიტორიული სასამართლო თითოეულ ინდივიდუალურ პირს აკისრებს ნაწილობრივ პასუხისმგებლობას; მიუხედავად ამისა, სხვებისთვის მიყენებული ზარალისთვის მათ ინდივიდუალურად ეკისრებათ დამატებითი კომპენსირების პასუხისმგებლობა.

ბელგიაში, საბუღალტრო აღრიცხვიანობის პასუხისმგებლობის სისტემა ემყარება, ისეთ პრინციპებს როგორცა მაგალითად, რომ მხოლოდ გადასახადების ამკრეფი არის უფლებამოსილი პირდაპირ და საკუთრივ შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები.

გერმანიში, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა განისაზღვრება სამართლებრივი დადგენილების თანახმად, დაწესებული ქვეყნის თითოეული რეგიონის/ოლქის მიერ და მისი მოქმედებაში მოყვანა განპირობებულია, მხოლოდ შესაბამისი რეგიონის ადგილობრივი მმართველობის შესახებ კანონის გათვალისწინებით. მაგალითად, ჩრდილო რაინ-ვესთფალია, ბავარია, მეკლენბურგ-ვორპომერნი, ბრანდერბურგი და ტიურინგის ადგილობრივი მმართველობის შესახებ კანონი ითვალისწინებს საბჭოს წევრების მიმართ სადამსჯელო ზომების გატარებას, რომლებმაც თავის მხრივ განზრახ, თუ გარკვეული გარემომეებების გამო, ვერ შეძლეს მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადო შესრულება ან დართეს უკანონო ხარჯების გაწევის ნება; მიიღეს მათთვის კანონით აკრძალულ კენჭისყრაში მონაწილეობა.

აღმასრულებელი ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება *Länder*'s საკანონმდებლო დადგენილებებით სახელმწიფო მოხელეების/ჩინოვნიკებისშესახებ (რომლებიც უნდა მოქმედებდნენ ფედერალური კანონის ფარგლებში). ზოგადად, ისინი პასუხისმგებელნი არიან განზრახ ქმედებით ან გაუმართლებელი გაუფრთხილებლობის გამო მიყენებული ზიანისთვის. აღმსრულებელი ორგანოების შემადგენლობაში აგრეთვე შედიან ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, როგორიცაა რეგიონის/ოლქის გამგებლები და მერი, განურჩევლად მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით არჩევისა.

შვედეთში, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხი ვადების მხრივ მეტად შეზღუდულია და უნდა აღსრულებული იყოს სათათბირო ასამბლეის მხრიდან პასუხისმგებლობის მოხსნის უარის თქმის შემდეგ მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში. ასამბლეას თეორიულად შეუძლია არჩეული წარმომადგენლის ადმინისტაციული გულგრილობისთვის დადანაშაულება; აღნიშნული სანქციები ნაკლებსავარაუდოა გავრცელდეს მოვალეობის შესრულებისას ფინანსური დანაკარგების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ისეთი საქმის წარმოება, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ შიდა საგამომძიებლო საქმის წარმოებასა და ჯარიმის დაკისრების.

ესპანეთში, ადგილობრივ ხელისუფლებას დამოუკიდებლად შეუძლია თაღლითურ ქმედებაში ჩართული, ნებისმიერი ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ საქმის აღძვრა.

აუდიტორიული საბჭოს შესახებ კანონის თანახმად, ადგილობრივად არჩეული წარმომადგენელებსა და საჯარო მოხელეებს ეკისრებათ, უკანონო ქმედებების ან უმოქმედობის გამო საზოგადოებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების პასუხისმგელობა. აღნიშნული პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს პირდაპირი (და აქედან გამომდინარე გადანაწილებული და სრული პასუხისმგებლობა) ან დამატებითი (აქედან გამომდინარე შეზღუდული ან სავარაუდო პასუხისმგებლობა).

უფრო მეტიც, თითოეულ პირს რომელსაც უფლება აქვს გასცეს, დაადასტუროს ან დაამტკიცოს ანგარიშები, მაგრამ სათანადოდ არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას, აუდიტორული საბჭო აძლევს გაფრთხილებას და პირს ეკისრება მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება. აგრეთვე შესაძლებელია, იძულებითი სანქციის დადება და საჭიროების შემთხვევაში საქმე შესაძლოა გადაეცეს პროკურატურას, როდესაც საქმე ეხება დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ბრალდებას.

საქმის პროკურატურაში გადაცემის შემთხვევა საფრანგეთშიც გვხვდება, აღნიშნულ შემთხვევებს უფრო და უფრო მეტად სისტემატიური ხასიათი აქვს.

პორტუგალიაში, საჯარო პირებსა და ადგილობრივად არჩეულ წარმომადგენლებს ეკისრებათ საზოგადოებისთვის მიყენებული ზარალის (შემთხვევიდან გამომდინარე, პირდაპირი თუ არაპირდაპირი) კომპენსირება. დანაშაული ფასდება გარემოებების მიხედვით და აუდიტორულმა საბჭომ შეიძლება გადაწყვიტოს გარკვეული შეზღუდების დაწესება პასუხისმგებელი არჩეული წარმომადგენლის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობაზე.

როდესაც საქმე კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებით სერიოზული საქმეების ეხება, აუდიტორიული საბჭო უფლებამოსილია მიიღოს საურავის დაწესების შესახებ გადაწყვეტილება, თანხის ოდენობა კი განისაზღვრება დანაშაულის განზრახ ან გაუთვალისწინებლობით ჩადენის მიხედვით.

თურქეთში, არჩეულ წარმომადგენლებს ნებისმიერი უკანონო ქმედების შედეგად საზოგადოებრივი/კერძო საკუთრების ზარალის მიყენების შემთხვევაში, ეკისრებათ ზარალის კომპენსირების პასუხისმგებლობა. იმ შემთხვევაში თუ, დანაშაულებრივი ქმედება განზრახ იყო ჩადენილი, შედეგები შესაბამისად უფრო სერიოზულია.

რუმინეთში აუდიტორული სასამართლოს კოლეგია კანონდარღვევისთვის აწესებს ჯარიმას და განსაზღვრავს ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის/ზარალის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას. აღნიშნულმა კოლეგიამ შეიძლება დააყადაღოს ეჭვმიტანილი პირის საკუთრება. მსგავსი ღონისძიებების გატარებას უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები.

გ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლის დანაშაულის პასუხისმგებლობა

1. განვითარების საფუძველი და საქმის ზოგადი აღწერილობა

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მკვეთრად განირჩევა სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან, მის ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ უბრალო მოქალაქე ან გადასახადების გადამხდელი არამედ თვით საზოგადოება, სწორედ ეს არის თვით სახალხო ინტერესი და საზოგადოებრივი წყობისა და კანონის პატივისცემის გამოხატულება.

სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, მის თავდაპირველ და ძირითად საფუძველს წარმოადგენს არასწორი ქმედება და არა თვით ზარალი., იმისათვის, რომ ქმედებას სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია მიენიჭოს, უნდა იყოს განსაკუთრებული ხასიათისა/ კონკრეტული და ექვეოდეს კანომდებლობის ფარგლებში, ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, სადაც დანაშაული და სასჯელი მკაცრად განისაზღვრება კანონის მიერ.

სამართლებრივი მოცემულობების ძირითადი ნაწილი, რომელიც აყალიბებს არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის იურიდიულ საფუძველს, ასახულია აქ განხილული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში, რომლებშიც მოცემულია თანამდებობის პირების მიმართ არსებული სანქციები კანონდარღვევის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოიცავს ისეთ პუნქტებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, რომლის საფუძველზეც საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არჩეულ წარმომადგენლებს ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

იმ დროს, როდესაც სისხლის სამართლის დანაშაული, როგორც წესი ატარებს თაღლითური განზრახვის ხასიათს (მაგალითად საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 121-3: არ არსებობს სისხლის სამართლის დანაშაული, განზრახვის გარეშე) სისხლის სამართლის დანაშაულის საქმის აღძვრის საბაბს წარმოადგენს სერიოზული გულგრილობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი წინასწარი ბოროტი განზრახვით ხასიათს არ ატარებს.

მრავალ ქვეყანაში, არჩეული წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც მრავალგზის შემჩნეული არიან უკანონო ქმედებაში, კანონით ისჯება აგრეთვე უმოქმედობა, გულგრილობა და აშკარა დაუდევრობა და აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. აქედან გამომდინარე, ზოგადად არჩეული წარმომადგენლისა და კონკრეტულად ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, ძირითადად ორ მიზანს ემსახურება:

– ერთი მხრივ, დაისაჯოს არჩეული წარმომადგენლების მიერ საკუთარი ან მესამე მხარისათვის ფინანსური სარგებლის მიღების მცდელობა, პოლიტიკაში მორალური სტანდარტების დაცვის მიზნით.

– მეორე მხრივ, იმ საქციელის დასჯა, რომელიც ხელს უშლის ხელისუფლების წარმომადგენლების თავისი საქმიანობის განხორციელებაში მიუკერძოებლად და ეფექტიანად, რაც შედეგად იწვევს იმას, რომ მათი ქმედებები უკვე აღარ შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესს, რასაც ხელისუფლების ყველა პასუხისმგებელმა პირმა უნდა სცეს პატივი.

ზემოთთქმულის გათვალისწინებით და იმ პრინციპის შესაბამისად, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პირველ რიგში ეკისრება ინდივიდუალურ პირებს, ხელისუფლების პირდაპირი წესით გასამართლება არ ხდება (გარდა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსისა, რომელშიც 1994 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად 121-2 მუხლის ითვალისწინებს იურიდიული პირების, მათ შორის ტერიტორიული ხელისუფლების

ორგანოების (გარდა სახელმწიფო) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას კონკრეტულად განსაზღვრულ ვითარებაში.)

ზოგ შემთვევებში კოლეგიური ორგანოების წევრებს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა როგორც კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ასევე დაქვემდებარებული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

არსებობს სასჯელის დაკისრების უამრავი ფორმა, რომლებიც განისაზღვრება დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმიდან გამომდინარე, დაწყებული ფულადი სახის ჯარიმით (რომლის შემთხვევაშიც გარკვეული მსგავსებაა მასსა და სამოქალაქო პასუხისმგებლობას შორის) თავისუფლების აღმკვეთი სადამსჯელო ღონისძიებებისა (რომელიც პირდაპირ შეესაბამება ჩვეულებრივ სისხლის სამართლის წესდებას/კოდექსს) და სამუშაო ადგილიდან გათავისუფლებისა და დისკვალიფიკაციის ჩათვლით (რომელიც მეტად მჭიდრო კავშირშია პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან)

მომდევნო პარაგრაფები, ცხრილების საშუალებით წარმოადგენს, იმ ტიპის სისხლის სამართლის დანაშაულებს, სადაც უშუალოდ ჩართულები არიან არჩეული წარმომადგენლები, რომელშიც განხილულია ჩადენილი ქმედებები, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომა და რომელიც მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომელთაც შეუძლიათ მათი პასუხისმგებლობის შემსუბუქება ან პირიქით გამკაცრება და მათი შესატყვისი სასჯელი.

2. ეკონომიკური დანაშაულებები

ტერმინოლოგიურ განსხვავებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აშკარა მსგავსებაა დარღვევების განმარტებებს შორის რომელიც არჩეული წარმომადგენლების მიერ საკუთარი თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით პირადი ან მესამე მხარისათვის ფინანსური კეთილდღეობის მიღების მიზნით ხდება. ასეთი სახის დარღვევების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- ჩარევა (ინტერესების არაკანონიერი გამოყენება), ეს არის საკუთარი ინტერესების გარკვეულ სიტუაციებში პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით გატარება; ასეთი სახის დარღვევა მიიჩნევა დანაშაულად და დასჯადია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინტერესების დაპირისპირებამ არ გამოიწვია რეალური უპირატესობის მინიჭება
- საიდუმლო/ფარული გარიგებები- იგი წარმოადგენს საკუთარი თანამდებობის წყალობით მოპოვებული ინფორმაციის თავისსავე სასარგებლოდ გამოყენებას.
- გაყალბება ან მოტყუების მიზნით *გაყალბებული დოკუმენტების გამოყენება*- იგი წარმოადგენს დოკუმენტების შინაარსის შეცვლას და/ან ასეთი გაყალბებული დოკუმენტის გამოყენებას;
- ზეგავლენა/ზემოქმედება- იგი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებზე ზემოქმედების მოხდენას ან მოხდენის მცდელობას და მსგავსი ზემოქმედების წყალობით დაწინაურების ან უპირატესობის მოპოვებას (მნიშვნელობა არა აქვს რეალურად იქნა გამოყენებული თუ არა, ან რამდენად ეფექტურია მსგავსი ქმედება);
- სხვისი ქონების მითვისება/გაფლანგვა (საზოგადოებრივი ფონდების უკანონო მითვისება)- ეს გულისხმობს საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ქონებისა და ფონდების კერძო მიზნებისთვის გამოყენებას.

- პასიური კორუფცია- ეს გულისხმობს გარკვეულ პრივილეგიებზე თანხმობას, საკუთარი მოვალეობის სათანადოდ შესრულების ან სხვა მიზნით.
- გამოძალვა- ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მოთხოვნას, იქნება ეს საკუთარი მოვალეობის სათანადოდ შესრულების ან სხვა მიზნით.

მე–2 ცხრილში მოცემულია ქვეყნების მიხედვით დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული წესები. გამოყენებული აბრევიატურების მნიშვნელობა მოცემულია ქვემოთ, მის თანმხლებ განმარტებებში.

ცხრილი 2: ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა - ეკონომიკური დანაშაულებები

ქვეყანა	საიდუმლო/ფარული გარიგებები	ჩარევა (ინტერესების არაკანონიერი გამოყენება)	გაყალბება ან ყალბი დოკუმენტების გამოყენება	ზეგავლენა/ზემოქმედება	საზოგადოებრივი თანხების მითვისება/გაფლანგვა	კორუფცია	გამოძალვა
ბელგია (ვალონის რეგიონი)		**gMI** **I**: 3 თვიდან-2 წლამდე **F**: 3 000 BEC (ბელგიური ევრო მონეტა)	**sMI** **I**: 10-15 წლამდე იძულებითი სამუშაოები **F**: 2 000 BEC (ბელგიური ევრო მონეტა)		კანონი: **gMI**; მიღებული სამართლებრივი დასკვნა: **sMI** **I**: 1-6 თვემდე **F**: 1 000 BEC (ბელგიური ევრო მონეტა)	**gMI** **I**: 8 დღიდან-6 თვემდე ან 1 თვიდან--1 წლამდე **F**: 500 ან 1 000 BEC (ბელგიური ევრო მონეტა)	**gMI** **I**: 6 თვიდან--5 წლამდე **F**: 1 000 BEC (ბელგიური ევრო მონეტა)

საფრან-გეთი	**gMI** **I**: 2 წლამდე **F**: 10 000 000 FF (მოგების ერთიდან ათი ოდენობამდე)	**gMI** **I**: 5 წლამდე **F**: 500 000 FF **aP** (დისკრეციული): – სამოქალაქო, მოქალაქის და ოჯხური უფლებების ჩამორთმევა; – დისკვალიფიკაცია საჯარო თანამდებობიდან ან იმ საქმიანობისაგან რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; – იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება	**gMI** **I**: 7 წლამდე, ან 15 წელი სახელმწიფო დოკუმენტების გაყალბებისათვის **F**: 700 000 FF, ან 1 500 000 FF დოკუმენტების გაყალბებისათვის **aP** (დისკრეციული): – სამოქალაქო, მოქალაქის და ოჯხური უფლებების ჩამორთმევა; – დისკვალიფიკაცია საჯარო თანამდებობიდან ან პროფესიული და სოციალური საქმიანობის წარმოებიდან; – სახელმწიფო კონტრაქტების დადების და გაფორმების უფლების ჩამორთმევა; – იმ საგნის ჩამორთმევა რომელიც გამოიყენებოდა, გამიზნული იყო	**gMI** **I**: 10 წლამდე **F**: 1 000 000 FF **aP** (დისკრეციული): – სამოქალაქო, მოქალაქის და ოჯხური უფლებების ჩამორთმევა; – დისკვალიფიკაცია საჯარო თანამდებობიდან ან იმ საქმიანობისაგან რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; – იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება	**gMI** **I**: 10 წლამდე **F**: 100 000 FF **aP** (დისკრეციული): – სამოქალაქო, მოქალაქის და ოჯხური უფლებების ჩამორთმევა; – დისკვალიფიკაცია საჯარო თანამდებობიდან ან იმ საქმიანობისაგან რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; -იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება	**gMI** **I**: 10 წლამდე **F**: 100 000 FF **aP** (დისკრეციული): სამოქალაქო, მოქალაქის და ოჯხური უფლებების ჩამორთმევა; – დისკვალიფიკაცია საჯარო თანამდებობიდან ან იმ საქმიანობისაგან რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; -იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება	**I:** 5 წლამდე F: 500 000 FF aP (დისკრეციული): – სამოქალაქო, მოქალაქის და ოჯხური უფლებების ჩამორთმევა; – დისკვალიფიკაცია საჯარო თანამდებობიდან ან იმ საქმიანობისაგან რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; – იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება

გერმ ანია			*ა.დოკუმენტების გაყალბება* **I**: 5 წლამდე ან ფულადი ჯარიმა (6 თვიდან-10 წლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში) *ბ. ტექნიკური ჩანაწერებისა და სტატისტიკური მონაცემების ფალსიფიკაცია,* **I**: 5 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა *გ.არაპირდაპირი გაყალბება* **I**: 3 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა (იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის ჩადენის მიზანი იყო ფულადი სარგებლის მიღება ან სხვა ადამიანის დაშავება, ამ შემთხვევაში 3 თვიდან-5 წლამდე) *დ. პირადობის მოწმობის შეცვლა* **I**: 3 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა *ე. პირადობის გაყალბების მცდელობა* **I**: 2 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა (თუკი მცდელობა კვლავ განმეორდა ან დაკავშირებულია დანაშაულებრივ ქსელთან, 3 თვიდან- 5 წლამდე) *ვ. გაყალბებული პირადობის*	არ არსებობს ცალკე სისხლის სამართლებრივი დევნა ისეთ დანაშაულზე როგორიცაა გავლენის, ზეწოლის მოხდენა. ცალკეულ შემთხვევებზე ვრცელდება მუხლი რომელიც ეხება თანამდებობის ბოროტად გამოყენებას	*ა. მითვისება* **I**: 3 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა (5 წლამდე ან ფულადი ჯარიმა ისეთ შემთხვევებში როდესაც საქმე მოძრავ ქონებას ეხება და ბრალდებულის სახელზე იყო მინდობილი) *ბ. ნდობის ბოროტად გამოყენება* **I**: 5 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა (6 თვიდან-10 წლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში)	*ა. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების მექრთამეობა* **I**: 5 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა *ბ. ქრთამის აღება ან მიცემა სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას* **I**: 3 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა (3 თვიდან-5 წლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში) *გ. საჩუქრის აღება (ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მხრიდან ადმინისტრაციული და არა საკანონმდებლო ფუნქციის შესრულებისას)* **I**: 3 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა *დ.ადგილობრივი საჯარო მოხელეების მექრთამეობა* **I**: 6 თვიდან -5 წლამდე (3 წლამდე ან ფულადი ჯარიმა ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში და 1-10 რლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში) *ე. ევროკავშირის ანტიკორუფციული და მექრთამეობის წინააღმდეგ არსებული კანონი (1996 წლის 27 სექტემბრის საბჭოს დადგენილება*	**I**: 5 წლამდე ან ან ფულადი ჯარიმა (1-15 წლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში)ალვის ფაქტი მოხდა სიცოცხლის ან სხეულის ნაწილის ხელყოფის მუქარის ან ძალის გამოყენებით, დამნაშავე უნდა გასამართლდეს ძარცვისათვის

იტალია	**sMI** **I**: ა. 2 წლამდე თუკი მოსალოდნელი სარგებელი არ არის ფინანსური ბ. 2-5 წლამდე სხვა შემთხვევებში	**sMI** **I**: ა. 2 წლამდე თუკი მოსალოდნელი სარგებელი არ არის ფინანსური ბ. 2-5 წლამდე სხვა შემთხვევებში	**gMI** *I: ა. 3 თვიდან -2 წლამდე* *(ნაკლებად მძიმე დანაშაული* *b. 1-6 წლამდე (მძიმე დანაშაული)*	**sMI** **I**: ა. 2 წლამდე თუკი მოსალოდნელი სარგებელი არ არის ფინანსური ბ. 2-5 წლამდე სხვა შემთხვევებში	***gMI*** *I: 3-10 წლამდე (მაგრამ 6 თვიდან-3 წლამდე უკანონოდ მითვისებისათვის* *და შემდეგ მითვისებულის უკან დაბრუნების შემთხვევაში* ***aP :*** საჯარო თანამდებობიდან გათავისუფლება **(**დროებითი ხასიათის თუ არსებობს	*ა.კანონიერი ქმედებისათვის* ***gMI**: 6 თვიდან 3 წლამდე* *ბ. უკანონო ქმედებისათვის* ***gMI**: 2- 5 წლამდე*	**gMI** **I:** 4-12 წლამდე **aP :** საჯარო თანამდებობიდან გათავისუფლება **(**დროებითი ხასიათის თუ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებები**)**

პორტუგალია				**I**: 6 თვიდან-5 წლამდე	***I***: 3-8 წლამდე საჯარო ქონების უკანონო მითვისებისათვის (4 წლამდე ან 80 დღიანი ფულადი ჯარიმა თუ აქტივები გაქირავებული , დაგირავებული ან სხვა ეკონომიკური სარგებლის მიზნით იყო გამოყენებული	*ა.ქრთამის მიჩება უკანონო ქმედებებისათვის* *I: 2-8 წლამდე (2 წლამდე თუ ქმედება არ იყო ჩადენილი და არ იყო უმოქმედობა)* *ბ. ქრთამის მიღება კანონიერი ქმედებისათვის* ***I**: 1 წლამდე ამ* ***F**: 100 დღემდე*	**ა.მექრთამეობა** **I:** 2-8 წლამდე *წლამდე (2 წლამდე თუ ქმედება არ იყო ჩადენილი და არ იყო უმოქმედობა)* **ბ.გამოძლავა** **I:** 2 წლამდე **(**1-8 წლამდე თუ ძალადობა ან მძიმე მუქარა არის გამოყენებული)

სლოვაკეთი[4]	*a. სავაჭრო კონტრაქტში არსებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება* **I**: 12 წლამდე (საქმიანობის შეზღუდვა) *ბ. პირადი მონაცემების უკანონო გამოყენება* **I**: 2 წლამდე		**I**: 5 წლამდე (ან ფულადი ჯარიმა)		*ა.მითვისება ტენდერის ან სახელმწიფო გაყიდვებისას* **I**: 6 თვიდან-8 წლამდე *b. სახელმწიფო თანხების მითვისება* **I**: 12 წლამდე (ფულადი ჯარიმა ან	**I**: 1-5 წლამდე	**I**: 1-5 წლამდე

[4] ქმედების დანაშაულებრივად ჩასათვლელად, აუცილებელია ბოროტი განზრახვის არსებობა თუკი კანონის თანახმად დაუდევრობა არასაკმარისი სამხილია

[5] ”საქმიანობის შეზღუდვა” არის პროფესიული კუთხით რიგი საქმიანობის აკრძალვას (მაგ: მანქანის ტარების), რომელიც მაინცდამაინც არ

გულისხმობს სამსახურიდან გათავისუფლებას.

ესპანეთი[6]	*ა. საიდუმლო ინფორმაციის მეშვეობით ჩილის მოპოვება დაკავშირებულ ბიზნესში* **sMI** **F**: 12-24 თვემდე **aP:** საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებისა და საჯარო თანამდებობის დაკავებისაგან განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია 1-4 წლამდე *ბ. ისეთი სახის ბიზნეს საქმიანობა რომელსშიც საჯარო მეხელის ან არჩეული წარმომადგენლის ჩარევა არის საჭირო* **gMI** **F**: 6-12 თვემდე **aP**: გათავისუფლება 1-3 წლამდე	თავისთავად ჩარევა არ წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ შესაძლო მოგვევლინოს დამამძიმებელ გარემოებად (მაგ: ძალაუფლების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურში ყოფნისას - სამსახურეობრივი მოვალეობების განზრახ დარღვევა)	*a. მძიმე დაუდევრობა* **sN** **F**: 6-12 თვე **aP**: თანამდებობიდან 6 თვიდან-1 წლამდე გათავისუფლება *b. განზრახ ქმედება* **gMI** **F**: 6-24 თვემდე **aP** : 2-6 წლამდე განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია *c. ყალბი სერთიფიკატების გამოყენება* **gMI** **aP**: თანამდებობიდან 6 თვიდან-2 წლამდე გათავისუფლება	**sMI**: განზრახ, ეკონომიკური მოგების მირების მიზნით მოქმედება **I**: 6 თვიდან-1 წლამდე **F**: მოგების ერთი ან ორმაგი ოდენობა **aP** : თანამდებობიდან 3-6 თვემდე გათავისუფლება	*ა. სახელმწიფო თანხების მითვისება ამ მითვისებაზე თანხმობა პირადი სარგებლის მიღების მიზნით* **sMI** **I**: 6 თვიდან-1 წლამდე თუ მითვისებული თანხის ოდენობა ნაკლებია 50 000 ESP-ზე, 6 თვიდან-3 წლამდე თუ განსაკუთრებულად მძიმე, 4-8 წლამდე	*ა. ქმედება ან უმოქმედობა,რომელიც დანასაულად კვალიფიცირდება* **sMI** **I**: 2-6 წლამდე **F**: საჩუქრის ღირებულების ერთიდან სამჯერად ოდენობა **aP** : განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია 7-12 წლამდე *ბ. უკანონო ქმედების გახორციელება* **sMI** **I**: 1-4 წლამდე **F**: საჩუქრის ღირებულების ერთიდან სამჯერად ოდენობა	იხილეთ კორუფციის ნაწილში

[6] ფულადი ჯარიმა ანგარიშდება დღიური ჯარიმის საშუალებით, რომელიც შესაძლოა ვარირებდეს 200 დან 50 000 ესპანურ პესეტამდე

	გ საიდუმლო ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციია გამოყენება ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. **sMI** **I**: 1-6 წლამდე (თუ ზიანის მომტანია საზოგადოებრივი ინტერესებისათვის) **F**: სარგებლის ერთიდან სამჯერად ოდენობამდე **aP** : განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია 2-4 წლამდე (7- 10 წლამდე თუ თუ ზიანის მომტანია საზოგადოებრივი ინტერესებისათვის)				*ბ. საზოგადოებრივი სახსრების გამოყენება რომელიც საზოგადოებრივ საქმიანობას* *თან არ არის დაკავშირებული* **gMI** **F**: 6-12 თვემდე **aP**: თანამდებობიდან 6 თვიდან-3 წლამდე გათავისუფლება. თუკი თანხა არ იქნება ათ დღეში დაბრუნებული, ა პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის დაკისრება მოხდება *გ. საჯარო ქონების ბოროტად გამოყენება.* **sMI** **I**: 1-3 წლამდე **aP** : განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია 3-6 წლამდე *დ. სახელმწიფო ტერიტორიებისა და*	*გ. ქმედებისგან თავის შეკავება* **gMI** **F**: საჩუქრის ღირებულების ერთი ან ორჯერადი ოდენობა **aP** : განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია 1-3 წლამდე *დ. თანამდებობის შეუსაბამო უკანონო ქმედება* **gMI** **F**: 3-6 თვემდე **aP**: თანამდებობიდან 6 თვიდან-3 წლამდე	

შვედეთი			არ არსებობს ცალკე საჯარო სექტორისათვის დებულებები. გამოიყენება ზოგადი კანონი		არ არსებობს ცალკე საჯარო სექტორისათვის დებულებები. გამოიყენება ზოგადი კანონი	**I**: 2 წლამდე (ან ფულადი ჯარიმა); 6 წლამდე მძიმე დანაშაულისათვის	
გაერთიანებული სამეფო		საბჭოს წევრის მიერ ფინანსური ინტერესის გაცხადების თავიდან არიდება ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად რომელიც ისჯება დაუმორჩილებლობის გამო ფულადი ჯარიმით					

განმარტებები

sN: აშკარა დაუდევრობა , თვით თაღლითობის ფაქტის გარეშეც კი საკმარისი მიზეზია კანონის დარღვევის დამტკიცებისთვის.

gMI: ზოგადი ბოროტი განზრახვა (წინასწარ განზრახული კანონდარღვევისას, აუცილებელია ადგილი ქონდეს მისი ჩადენის სურვილს და ქმედების გაცნობიერების ფაქტს)

sMI: კონკრეტული ბოროტი განზრახვის არსებობის აუცილებლობა (გარდა ქმედების ჩადენის სურვილისა და ქმედების გაცნობიერების ფაქტისა, უკანონო ქმედების განხორციელებისათვის, პირის მიერ უნდა გააჩნდეს ზიანის მიყენების განზრახვა ან მოიცავდეს პირადი ან მესამე პირისათვის უკანონო პრივილეგიების მოპოვების სურვილს.

I: დაპატიმრება (მინიმუმი და მაქსიმუმი, შემამსუბუქებელი ან დამძიმებული გარემოებების გათვალისწინებით).

F: საურავი/ჯარიმა (თანხის მაქსიმალური ოდენობა)

aP: ადმინისტრაციული სასჯელი დამოკიდებულია კონკრეტული დარღვევების გათვალისწინებით.

3. სხვა სახის სასჯელები

ფინანსური დარღვევების გარდა არსებობს სხვა რიგი დარღვევებისა რომელიც პირდაპირ ეხება არჩეულ წარმომადგენლებს. ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- უფლებამოსილების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების (საქმიანობის) განხორციელების თავიდან არიდება ან არაეფექტური განხორციელება;
- *დაუდევრობა* კანონაღსრულებითი ვალდებულებებისას, რომელიც აისახება ადამიანის დაშავებასა ან გარდაცვალებაში; აღნიშნული დაუდევრობა ისჯება ზოგადი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს ისეთი სახის დანაშაულებს, როგორიცაა გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი/ზარალი და ბოროტი განზრახვის გარეშე ჩადენილი მეკვლეობა.

გარდა ზემოხსენებულისა, არსებობს ისეთი სახის დანაშაულები, რომლებიც სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება,მათ შორის შეიძლება იყოს გარემოს დაცვა (კონსტიტუციის და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა).

მე-3 ცხრილში მოცემულია ქვეყნების მიხედვით დანაშაულის/კანონდარღვევასთან დაკავშირებული წესები. გამოყენებული აბრევიატურების მნიშვნელობა მოცემულია ქვემოთ, მის თანმხლებ განმარტებებში.

4. სხვა სახის სასჯელები

ფინანსური დარღვევების გარდა არსებობს სხვა რიგი დარღვევებისა რომელიც პირდაპირ ეხება არჩეულ წარმომადგენლებს. ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- უფლებამოსილების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების (საქმიანობის) განხორციელების თავიდან არიდება ან არაეფექტური განხორციელება;
- *დაუდევრობა* კანონაღსრულებითი ვალდებულებებისას, რომელიც აისახება ადამიანის დაშავებასა ან გარდაცვალებაში; აღნიშნული დაუდევრობა ისჯება ზოგადი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს ისეთი სახის დანაშაულებს, როგორიცაა გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი/ზარალი და ბოროტი განზრახვის გარეშე ჩადენილ მეკვლეობას.

გარდა ზემოხსენებულისა, არსებობს ისეთი სახის დანაშაულებები, რომლების განსაკუთრებული კანონმდებლობით რეგულირდება; მაგალითისათვის გარემოს

დაცვა (კონსტიტუციის და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა).

მე-3–ე ცხრილში მოცემულია ქვეყნების მიხედვით დანაშაულის/კანონდარღვევის მიხედვით არსებული ღონისძიებათა წესები. გამოყენებული აბრევიატურების მნიშვნელობა მოცემულია, ქვემოთ მის თანმხლებ განმარტებებში.

ცხრილი 3: არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა - სხვა სახის დანაშაულებანი

ქვეყანა	დანაშაული გარემოს წინააღმდეგ	ძალაუფლების ბოროტად გამოყენება	ვალდებულებების განხორციელებაზე უარის თქმა ან არაეფექტური განხორციელება;	გაუთვალისწინებლობით მიყენებული ზიანი	ადამიანის მკვლელობა	სხვათა საფრთხეში ჩაგდება
ბელგია (ვალონის რეგიონი)		**gMI** **I**: 1-5 წლამდე	**gMI** **I**: 3 თვიდან-3 წლამდე **F**: 3 000 BEC	გაუფრთხილებლობა **I**: 8 დღიდან-6 თვემდე **F**: 500 BEC	გაუფრთხილებლობა **I**: 3 თვიდან--2 წლამდე **F**: 1 000 BEC	

საფრანგეთი		**gMI** **I**: 5–დან ან 7 წლამდე **F**: 500 000 ან 700 000 FF **aP** (დისკრეციული): – სამოქალაქო და ოჯახური უფლებების ჩამორთმევა; –საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებისა და საჯარო თანამდებობის დაკავებისაგან განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია –იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება	**gMI** **I**: 1 დან ან 3 წლამდე **F**: 100 000 ან 300 000 FF **aP** (დისკრეციული): –მოქალაქეობრივი, მოქალაქის და ოჯახური უფლებების ჩამორთმევა; - საჯარო თანამდებობის დაკავების ან იმ სფეროში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; – იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება	ბოროტი განზრახვის არსებობა არ არის აუცილებელი დამოკიდებულია საქმიანობის შეწყვეტის ხანგრძლივობაზე (3 თვეზე მეტი ან ნაკლები პერიოდით): **I**: 1 ან 2 წლამდე **F**: 10 000 ან 300 000 FF **aP** (დისკრეციული): –მოქალაქეობრივი, მოქალაქის და ოჯახური უფლებების ჩამორთმევა; – საჯარო თანამდებობის დაკავების ან იმ სფეროში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; – იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება		**gMI** **I**: 1 წლამდე **F**: 100 000 FF **aP** (დისკრეციული): – მოქალაქეობრივი, მოქალაქის და ოჯახური უფლებების ჩამორთმევა; – საჯარო თანამდებობის დაკავების ან იმ სფეროში საქმიანობის უფლების ჩამორთმევა რა სფეროშიც მოხდა დანაშაულის ჩადენა; – იმ თანხის ოდენობისა და საკუთრების კონფისკაცია, რომელიც უკანონოდ იქნა მოპოვებული; – მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება; – 5 წლით (ან მეტით) იარაღის (რომელსაც ლიცენზია ჭირდება)ფლობის ან ტარების უფლების ჩამორთმევა; - 5 წლით (ან მეტით) მართვის უფლების ჩამორთმევა (შეიძლება დაწესდეს მხოლოს არასამსახურეობრივი დანიშნულებიტ მანქანის საქგებლობაზე); - მართვის უფლების ჩამორთმევა და 5 წლის ვადის ამოწურვამდე ახალი მართვის აღების უფლების

გერმანია	*ა. ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურება; რყევებისა და ზმაურის გამოწვევა; საშიში ნარჩენების უკანონო მართვა; დაცული ტერიტორიებისათვის საფრთხის შექმნა; ნარგავების უკანონო მოხმარება* **I**: 3 ან 5 წლამდე ან ჯარიმა (თუ ქმედება დაუდევრობით არის ჩადენილი 1 ან 3 წლამდე ან ჯარიმა; განსაკუთრებით მძიმე შემთხვევისას 6 თვიდან 10 წლამდე) *ბ. მომწამვლელი ნივთიერებების მეშვეობით საფრთხის შექმნა* **I**: 3, 5, 10 ან 15 3 წლამდე ან ჯარიმა (სასჯელი დამოკიდებულია ბრალდების სიმძიმეზე და თანაშესწრების სახეზე)	ადგილობრივი წარმომადგენლებს ისევე ეკისრებათ პასუხისმგებლობა როგორც სხვა დანმაშავეს, თუ მათი რწმუნებულებით ხდეობოდა მუნიციპალური საკუთრების ნარგავებისა და საშუალებების გამოყენება თუ ისინი რეგულირების ან ლიცენზირების სამსახურის თანამშრომლებს წარმოადგენენ, საერთო სამართლის თანახმად, მათ მიმართ შესაძლოა წაყენებული იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის ბრალდება წაქეზების ან თანამონაწილეობისათვის მათ ყოველთვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა		**I**: 3 წლამდე ან ჯარიმა	**I**: 5-15 წლამდე (განსაკუთრებულ მძიმე შემთხვევებისას სამუდამო პატიმრობა, ხოლო მძიმე 1-10 წლამდე)	No specific rule on this issue; there are however several criminal provisions covering abstract and concrete strict liability torts where abstract or concrete hazards imp lied or actually posed by certain acts carry a penalty

იტალია	ზედამხედველობის ფუნქციის ბოროტად გმოყენება დაკავშირებულია სავალდებულო ღონისძიების დაგვიანებასთან, გამოტოვებასთან ან მასზე უარის თქმასთან	**sMI** **I**: a. 2 წლამდე თუ სარგებელი ფინანსური სახის არ არის b. 2-5 წლამდე სხვა შემთხვევებში	*ა.. უარის თქმა* **gMI** **I**: 6 თვიდან-2 წლამდე *ბ. დაყოვნება /შეუსრულებლ*	ზოგადი კანონი	ზოგადი კანონი	ზოგადი კანონი
პორტუგალია	*ა.. მცენარეთა და ცხოველთა, აგრეთვე ნიადაგქვეშა სამყაროს მრავალფეროვნების დარღვევა* **I**: 3 წლამდე (1 წლით დაუდევრობის შემთხვევაში) **F**: 600 დღემდე *ბ. დაბინძურება* **I**: 3 წლამდე ან **F**: 600 დღემდე *გ.. დაბინძურება რომელიც სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის*	**I**: 6 თვიდან--3 წლამდე ან **F**: 50-100 დღე	*ა..საჭიროებას ან საფრთხესთან დაკავშირებულსიტუაციებში* **I**: 1 წლამდე (2 წლამდე მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობისას), ან **F**: 120 დღემდე (240 დღე მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობისას) *ბ.თანამშრომლობაზე უარის თქმა* **I**: 3 თვიდან---1 წლამდე ან	**I**: 1 წლამდე (2 წლამდე მძიმე დაზიანების შემთხვევაში, ან **F**: 120 დღემდე (240 დღე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში)	*a. დაუდევრობა* **I**: 3 წლამდე ან ჯარიმა *b. მძიმე დაუდევრობა* **I**: 5 წლამდე	*საფრთხე* **I**: 2 წლამდე ან **F**: 240 დღემდე

სლოვაკეთი	*a. განზრახვა* **I**: 8 წლამდე (ან ჯარიმა ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა) *b. დაუდევრობა* **I**: 5 წლამდე	*a. განზრახვა* **I**: 6-10 წელი (ან ჯარიმა ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა) *b. დაუდევრობა* **I**: 3 წლამდე		*a. დაუდევრობა* **I**: 1 წლამდე (ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა)	*a. განზრახვა* **I**: 10-15 წლამდე ან განსაკუთრებული სასჯელი *b. დაუდევრობა* **I**: 6 თვიდან--10 წლამდე (ან ჯარიმა ან	

ესპანეთი	*ა. დანაშაული რეგიონული დაგეგმარების ან ისტორიული საკუთრების წინააღმდეგ* **gMI** **I**: 6 თვიდან--2 წლამდე **F**: 12-24 თვე **aP** : განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია 7-10 თვემდე *ბ.დანაშაული ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის წინააღმდეგ* **gMI** **I**: 4 თვიდან--3 წლამდე **F**: 8-24 თვე **aP** : დისკვალიფიკაცია 7-10 წლამდე	*ა. ადმინისტრაციული საკითხების თვითნებურად გადაწყვეტა* **gMI** დისკვალიფიკაცია 7-10 წლამდე *ბ.. სახელმწიფო მოხელედ თანამდებობასთანს შეუფერებელი პირის დანიშვნა* **gMI** **F**: 3-8 თვე **aP**: 6 თვიდან--2 წლამდე გათავისუფლება	დაუმორჩილებლობით ჩადენილი დანაშაული *ა..სამართლებრივი ბრძანებულებების შესრულებაზე უარის ტქმა* **gMI** **F**: 3-12 თვე **aP**: დისკვალიფიკავია 6 თვიდან-2 წლამდე *ბ. ზემდგომთა განკარგულებების შეუსრულებლობა.* **gMI** **F**: 1-24 თვე **aP** : დისკვალიფიკაცია 1-3 წლამდე *გ.სამსახურეობრივი ვალდებულების შეუსრულებლობა როს შედეგადაც პირის წინაარმდეგ ჩადენილი დანაშაულის*	**sN** **I**: 7-24 კვირა, 6 თვე-2 წელი ან 1-3 წლამდე, დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე	**sN** **I**: 1-4 წლამდე	ესპანური სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ბრალდებას

შვედეთი	ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებზე ვრცელდება ზოგადი კანონი	თანამდებობის ბოროტად გამოყენება: **I**: 6 წლამდე (ან ჯარიმა)	თანამდებობის ბოროტად გამოყენება: **I**: 6 წლამდე (ან			

განმარტებები

sN: აშკარა დაუდევრობა, თვით თაღლითობის ფაქტის გარეშეც კი საკმარისი მიზეზია კანონის დარღვევის დამტკიცებისთვის.

gMI: ზოგადი ბოროტი განზრახვა (წინასწარ განზრახული კანონდარღვევისას, აუცილებელია ადგილი ქონდეს მისი ჩადენის სურვილს და ქმედების გაცნობიერების ფაქტს)

sMI: კონკრეტული ბოროტი განზრახვის არსებობის აუცილებლობა (გარდა ქმედების ჩადენის სურვილისა და ქმედების გაცნობიერების ფაქტს, უკანონო ქმედების განხორციელებისათვის, პირის მიერ უნდა გააჩნდეს ზიანის მიყენების მიყენების განზრახვა ან მოიცავდეს პირადი ან მესამე პირისათვის უკანონო პრივილეგიების მოპოვების სურვილს.

I: დაპატიმრება (მინიმუმი და მაქსიმუმი, შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით).

F: საურავი/ჯარიმა (თანხის მაქსიმალური ოდენობა)

aP: ადმინისტრაციული სასჯელი დამოკიდებულია კონკრეტული დარღვევების გათვალისწინებით.

4. დამატებითი სახის სასჯელები

წარმომადგენლის სამსახურიდან გათავისუფლება და დისკვალიფიკაცია და საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მსჯელობას საყოველთაო საარჩევნო უფლებამოსილების ჩამორთმევის შემდგომ. ხშირ შემთხვევაში, არსებობს ადმინისტრაციული სადამსჯელო ღონისძიებები; მაგრამ ისინი ამასთანავე უნდა ითვალისწინებდნენ დამატებით სასჯელსაც (რომლებიც ავტომატურად არ ვრცელდება და საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, ეკისრებათ მოსამართლის მიერ).

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან შერევა ან პოლიტიკური ოპონენტის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ჩამოცილების მიზნით მისი გამოყენება ყოვლად მიუღებელია.

მიუხედავად ყველაფრისა, მათი გამოყენება აუცილებელია მხოლოდ სათანადო შემთხვევებში, არჩეული წარმომადგენლისთვის უფრო მძიმე სახის დანაშაულის ჩადენაში ხელის შეშლის და მათი მხრიდან ხელახალი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან საზოგადოების დაცვის მიზნით

რა საკვირველია, რთულია იმ შემთხვევების გაგება, როდესაც ის არჩეული წარმომადგენლები, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, საკუთარი

მოვალეობის შესრულებისას ჩაიდინილი მძიმე და განზრახ დანაშაულის გამო მაინც ინარჩუნებდნენ დაკავებულ თანამდებობას

ცხრილი 4 წარმოადგენს ქვეყნებში დაფიქსირებულ დარღვევებზე საპასუხო ძირითად სამართლებრივ აქტებს, რომლებიც გულისხმობენ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე უფლებამოსილების შეჩერებას (რომლებიც თავისთავად სასჯელის ფორმა არ არის, შეიძლება ითქვას ეს უფრო შუალედური ღონისძიებაა).

ცხრილი 4: არჩეული წარმომადგენლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა - კანდიდატად კენჭისყრასთან დაკავშირებული სანქციები

ქვეყანა	სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეჩერება	თანამდებობიდან გათავისუფლება	დისკვალიფიკაცია/ უფლებების ჩამორთმევა
ბელგია (ვალონის რეგიონი)			არჩევითი დამატებითი სასჯელები შემდეგი სახის დანაშაულებისათვის: –სამოქალაქო მოსამსახურის მიერ უკანონო დაკავება და დაპატიმრება; – საჯარო მოხელის მიერ პასპორტის, იარაღის ტარების ლიცენზიის, წიგნაკის, გადაადგილების ორდერის ან სერთიფიკატის გაყალბება; – სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული ყალბი სერტიფიკატის საკითხზე მოწმის სტატუსის
გერმანია	კანონი არ ითვალისწინებს	საჯარო სამსახურში ყოფნის შესაძლებლობის დაკარგვის შემთხვევაში	*ა. საჯარო სამსახურში ყოფნის შესაძლებლობის დაკარგვა* მძიმე დანაშაულში ბრალდების შემთხვევაში – ავტომატურად 1 წლის ვადით არჩევითი (სასამართლოს გადასაწყვეტი) თუ კანონით არის განსაზღვრული რიგ მძიმე დანაშაულზე და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულზე სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ 2-5 წლამდე უფლებების ჩამორთმევა. სასამართლოს მიერ შესაძლებელია აღადგინოს პირის უფლებები სასჯელის ნახევარი ვადის გასვლის შემთხვევაში *ბ. საარჩევნო უფლების ჩამორთმევა*

იტალია	უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილება ავტომატურად შედის ძალაში, თუკი კანონით არის განსაზღვრული. ეს არის სასჯელი (თუნდაც არა საბოლოო) მითვისებისათვის, კორუფციისა და მითვისების გამო და აგრეთვე სასჯელი ზეგავლენა/ზეწოლის მოხდენისათვის. შეჩერებული მანდატის აღდგენა ხდება თუკი პირი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი (თუნდაც არ იყოს მიღებული საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ). კანონიდან გამომდინარე უფლებამოსილების შეჩერებასა და პრეფექტის მიერ პირის მიმართ გამოყენებული უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილებას შორის უნდა არსებობდეს სხვაობა. უკანასკნელი თანამდებობიდან გადაყენების	1. გათავისუფლება ავტომატურად შედის ძალაში საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ დანაშაულზე, რომელიც სამსახურეობრივი უფლებამოსილებისს შეჩერებას ითვალისწინებს 2. გათავისუფლების ადმინისტრაციულ აქტს ადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგილობრივი პრეფექტის მიმართვის საფუძველზე, სადამსჯელო ღონისძიების სახით ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მიმართ რომლის ქმედება უკანონო ან საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შემცველი იყო	*თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი, ასევე იწვევს არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრის უფლების სამუდამოდ ჩამორთმევას.*

პორტუგალია		ავტომატურად შედის ძალაში თუ საბოლოო განაჩენი იქნა გამოტანილი იმ დანაშაულზე, რომელიც საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პასუხისმგებლობას ეხება	უფლების არ ქონა - შეჩერებული მანდატის აღდგენის უფლების ჩამორთმევა - მიმდინარე სრული მანდატის ვადით, პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა
სლოვაკეთი		სასამართლოს მიერ მერის საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობა.	

ესპანეთი	ძალაში ავტომატურად შესვლა განაჩენის ხანგრძლივობის განმავლობაში	– 10 წელზე მეტი ხანგრძლივობის განაჩენის შემთხვევაში სრული დისკვალიფიკაცია (ყველა საჯარო წოდების, თანამდებობისა და უფლებამოსილების მუდმივი ჩამორთმევა) –განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია (თანამდებობისა და უფლებამოსილების მუდმივი ჩამორთმევა)შესაძლოა გამოტანილი იყოს მოსამართლის მიერ10 წელზე ნაკლები ხანგრძლივობის განაჩენის შემთხვევაში	– *სრული დისკვალიფიკაციის პერიოდში უფლების - იყო არჩეული - ჩამორთმევა ;* *უფლების - იყო არჩეული -ს ჩამორთმევა ისეთ თანამდებობაზე, რომელზეც დისკვალიფიკაციის შემთხვევაში განსაკუთრებული სახის დისკვალიფიკაცია ვრცელდება*

შვედეთი	არ არსებობს სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებზე ვრცელდებოდეს	ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმომადგენლის მიმართ 2–ი ან მეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მისჯის შემთხვევაში, ასამბლეას უფლება აქვს პირს მანდატი ჩამოართვას. სასამართლოს ძალით წარმომადგენლის გამოწვევა ხდება თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული თანამდებობისათვის შეუფერებელია სასჯელი ითვალისწინებს 2–ი ან მეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას.	არ არსებობს სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებზე ვრცელდებოდეს
გაერთიანებული სამეფო	სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება თანამდებობიდან გარკვეული ვადით გადაყენებულნი იყვნენ ის საბჭოს წევრები, რომლებიც 2 000 GBP-ზე მეტი უკანონო ხარჯი გაწიეს (ვადების დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა)	აუდიტორი, რომელიც კანონიერად ჩათვლის პირდაპირი განზრახვით მიყენებულ 2 000 GBP–ზე მეტ ფინანსურ ზარალს, ავტომატურად თავისუფლდება ადგილობრივი ხელისუფლებაში დაკავებული თანამდებობიდან (თუკი იგი საბჭოს წევრია) 5 წლის ვადით	*ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოდან პირის გათავისუფლების წინაპირობები:* *– თუ იგი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში მსახურობს;* *- გამოცხადდა გადახდისუუნაროდ ან კრედიტორებთან შეთანხმება/გარიგება გაფორმა;* *- არჩევამდე 5 წლის განმავლობაში ნასამართლევი იყო 3 თვეზე არანაკლები ვადით (ჯარიმის გადახდის შესაძლებლობის გარეშე);* *- თანამდებობიდან გათავისუფლება მართლსაწინააღმდეგო*

დ. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა

1. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის სახეები

ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის მრავალი სახე არსებობს. უმთავრესი მოქალაქეების მიმართ პასუხისმგებლობაა. იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელთა მანდატს (არჩევნებისას ან რეფერენდუმის გზით) ისინი ფლობენ უფლებამოსილების განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, ამომრჩეველებს უფლება აქვთ წარუმატებელი საქმიანობისათვის თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატონ როგორც პირადად თავიანთი წარმომადგენლის ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

პოლიტიკური პასუხისმგებლობის მეორე სახეა აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილების მიმღები (დირექტიული) ასამბლეის მიმართ პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც უკანასკნელის მეშვეობით ხდება პირველისათვის მანდატის მინიჭება. ეგრეთ წოდებული არსებული „ნდობითი ურთიერობა“ რომელიც ჩამოყალიბებულია ადგილობრივ საბჭოსა და მისი პროგრამის და პოლიტიკის განმახორციელებელ (მის მიერ არჩეულ) აღმასრულებელ ორგანოს შორის, შესაძლოა იყოს დარღვეული. ასეთ ვითარებაში აღმასრულებლის საქმიანობის დაგმობა და მანდატის ჩამორთმევა შესაძლოა კენჭისყრით გადაწყდეს.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელნი არიან აგრეთვე ზედამხედველობის ორგანოების წინაშე. ამ უკანასკნელს, ზოგიერთ შემთხვევებში შეუძლია შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს – სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით – როდესაც საქმე ისეთ პრობლემას ეხება, როდესაც არჩეული წარმომადგენლები ვერ ასრულებენ ამომრჩეველთა მიერ მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებას.

და ბოლოს, არსებობს ადგილობრივ არჩეულ წევრთა პასუხისმგებლობა თავიანი პოლიტიკურ პარტიის მიმართ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამომრჩეველი ხმას პარტიულ სიას აძლევს, ასეთი სახის პასუხისმგებლობა კანონით განსაზღვრული არ არის და შესაბამისად არ არის ასახული მოხსენებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველთა მიმართ პოლიტიკური პასუხისმგებლობა (ჩვეულებრივი არჩევნების გზით და მეშვეობით) გამოიყენება ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში; ხოლო, პოლიტიკური პასუხისმგებლობის დანარჩენი ორი ფორმა ყველა ევროპულ სახელმწიფოში არ გვხვდება.

უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყანაში, ის პროცედურები, რომლითაც ხდება არჩეული წარმომადგენლის პოლიტიკური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა, განსხვავდება. აღნიშნული გამოწვეულია სახელმწოფოს მიერ ადგილობრივი მმართველობის საკითხისადმი განსხვავებული მიდგომით.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ზომისა და რესურსების მიხედვით არსებული განსხვავების გარდა,ასევე რადიკალურად განსხვავდება ადგილობრივი ადმინისტრაციული და პოლიტიკური წყობა განსაკუთრებით იმის მიხედვით, სახელმწიფო ფედერალურია თუ არა.

ეს ფუნდამენტური განსხვავებები მხედველობაში უნა იყოს მიღებული როდესაც საქმე ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ეხება, როგოც ამ უკანასკნელის არსებობის, ისე ამ პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების გამოყენების კუთხით.

ინფორმაცია პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავისებურებებზე ქვეყნების მიხედვით მოცემულია ქვემოთ. სხვა საჭირო ინფორმაცია შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს CDLR–ის კვლევის სხვა ნაწილში, რომელიც ეხება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ კონტროლს და აუდიტს.

5. შესწავლილ ქვეყნებში არსებული ვითარება

ესპანეთში ადგილობრივი აღმასრულებელის ფუნქცია ხორციელდება მერის მიერ მუნიციპალურ დონეზე და პროვინციის საბჭოს პრეზიდენტის მიერ პროვინციის დონეზე. მათი არჩევა და გადარჩევა ხორციელდება მარტივად, გადაწყვეტილების მიმღები ასამბლეის წევრთა შორის.

ბრიტანული სისტემა რადიკალურად განსხვავებულია. როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ადგილობრივი აღმასრულებელი ფუნქცია ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში მყოფი პირის მიერ. საარჩევნო სისტემის გარდა, არ არსებობს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არჩეული წარმომადგენლის პილიტიკური პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს. აქედან გამომდინარე, ბრიტანელ არჩეულ წარმომადგენელთა პოლიტიკური პასუხისმგებლობა ასოცირებულია საარჩევნო ყუთთან და მათი გამოთხოვის და გადაყენების სხვა არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს.

ბელგიაშიც მსგავსი ვითარებაა; არჩეული წარმომადგენელს პოლიტიკური პასუხისმგებლობა თავისი ამომრჩევლის წინაშე გამოიხატება მომდევნო არჩევნების გზით.

გერმანიაში, სახელმწიფოს ფედერალური მოწყობიდან გმომდინარე, ადმინისტრაციული ერთეულებში – Länder –ებში სხვადასხვა სისტემა დომინირებს. მათ თავისუფლად შეუძლიათ დემოკრატიული პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც ძირითად კანონს არ ეწინააღმდეგება. უმეტესად მერი და ერთეულის უფროსი (რომელიც ასევე პირდაპირი არჩევნების გზით ირჩევა), შეზღუდული ვადით არიან არჩეულნი. მათ მოადგილეებს კი ირჩევენ მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლები ასევე განსაზღვრული პერიოდით. საბჭოს არ აქვს მერის მიერ (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) მიღებული გადაწყვეტილების შეჩერების უფლება. თუმცა, შესაძლოა მოხდეს გადაწყვეტილების

საწინააღმდეგო კენჭისყრა, რომელსაც მიღებული გადაწყვეტილების ანულირების ძალა არ ექნება.

მერები და საჯარო მოხელეები, ბადენ–ვიურტემბერგსა და ბავარიაში, თავის კომპეტენციებს ასრულებენ Länder–ის ქცევის კოდექსის ფარგლებში და ასამბლეას არ აქვს მათი გადაყენების უფლებამოსილება. ასეთი სახის გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული სასამართლო. თუმცა, მერის გადაყენების მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს ადგილობრივ მოსახლეობას (ბრანდენბურგში ამისათვის საჭიროა მოქალაქეთა 10 %) ან საბჭოს ორ მესამედს (ჩრდილოეთ რაინ–ვესტფალიაში). ხოლო უშუალოდ გადაწყვეტილების მიღება ადგილობრივი რეფერენდუმის შედეგად ხდება. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (25 %) შესაძლებელია მერის გადაყენება.

შვედეთში ფრანგული პარლამენტარიზმის სისტემის მსგავსად, არსებობს კოლეგიური ორგანო, ადმინისტრაციული კომისია, რომელიც ადმინისტრაციას მართავს და აღმასრულებელი ორგანო, რომლის წევრებს გადაწყვეტილების მიმღები ასამბლეა იღებს. აღმასრულებელი ორგანოს წევრი შესაძლოა გათავისუფლებული (გამოთხოვილი) იყოს თუკი მას კანონის ძალის მქონე გადაწყვეტილების საფუძველზე დამნაშავედ ცნობენ ორი და მეტი წლის ვადით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ასეთ შემთხვევებში, საქმე ეხება აღმასრულებელი ორგანოს წევრთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რომლის შედეგიც შესაძლოა იყოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაწესება და თანამდებობიდან გადაყენებაც.

თურქეთში, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მისი აღსრულება არჩევნების მიღმა დგას უპირველეს ყოვლისა ეროვნული ხელისუფლების პრეროგატივაა. იშვიათ შემთხვევებში, სახელმწიფოს საბჭოს შეუძლია მუნიციპალური საბჭოს დათხოვნა გუბერნატორის მიმართვის საფუძველზე და შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით აღნიშნული გადაწყვეტილება კანონის თანახმად ადგილზე შეთანხმებული და პოლიტიკური მიზანშეწონილობა განხილული უნდა იყოს.

სლოვაკური სისტემის თანახმად, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის მხრიდან უმოქმედობა შეიძლება იყოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზეზი. ადგილობრივი ასამბლეის წევრის უფლებამოსილების ვადა შესაძლოა დროზე ადრე შეწყდეს თუკი იგი, საპატიო მიზეზების გარეშე, არ ესწრება ადგილობრივი ასამბლეის შეხვედრებს. ანალოგიურად, დაუდევრობა და გამომდინარე ხარვეზები შესაძლოა იყოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების და თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი.

საფრანგეთში, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების, როგორც მთლიანად ორგანოს, თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, მუნიციპალური საბჭოების ბლოკირება. პირადად მუნიციპალიტეტის მეთაურის

გადაყენების უფლება გადაწყვეტილების მიმღებ ასამბლეას არ შეუძლია , თუმცა, რჩება ისეთი მექანიზმების გამოყენება როგორიცაა უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმა, მაგალითად – წარმოდგენილი ბიუჯეტის ჩაგდება.

რუმინეთში, ადმინისტრაციის ფუნქციონირების პასუხისმგებლობა ეკისრება მერს და იგი ანგარიშვალდებულია ადგილობრივი საბჭოს წინაშე. თუმცა მერის გადაყენების უფლებამოსილება სათათბირო ორგანოს არ გააჩნია.

მერი შესაძლოა გადაყენებული იყოს იმ შემთხვევაში, თუკი მის მიერ უპასუხისმგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებები რამოდენიმეჯერ იქნა სასამართლოს მიერ გაუქმებული კონსტიტუციის დარღვევის, ქვეყენაში მოქმედი კანონებისა და სახელმწიფოს ინტერესების დარღვევის მოტივით. სასამართლოს მიერ მერის გადაყენების გადაწყვეტილება სისრულეში მოყავს მთავრობას, პრეფექტის ინიციატივიანზე დაყრდნობით.

თუკი ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლი ხშირად აცდენს სამსახურს, იგი შეიძლება დაჯარიმდეს საფრანგეთსა და რუმინეთში – დაექვითოს/დაუკავდეს დანამატები ან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული სახის პასუხისმგებლობის არსებობის მიუხედავად, ხანგრძლივი არყოფნა/ არდასწრების გამო დაკისრებული პასუხისმგებლობის ფაქტები ცხოვრებაში ძალიან იშვიათი შემთხვევებია.

იტალიაში, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი შეიძლება იყოს კონსტიტუციის, კანონის მრავალჯერადი და მძიმე დარღვევის და აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, საბჭოს დათხოვნის მიზეზი შეიძლება გახდეს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ვადებში არმიღება, ან თუკი საბჭოს საქმიანობა ექცევა მაფიის (ორგანიზებული დანაშაულის) ტიპის ორგანიზაციის გავლენის ქვეშ. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, ვერ ხერხდება საზოგადების ნორმალური ფუნქციონირება/საქმიანობა.

პორტუგალიაში, მუნიციპალური საბჭო ზედამხედველობას უწევს მერის საქმიანობას და შეიძლება აღძრას სადამსჯელო ღონისძიებები აღმასრულებლის წინააღმდეგ. ხელისუფლებას ამ ორგანოებზე სანქციების დაწესება არ შეუძლია; თუმცა, შესაბამის მინისტრს ამის უფლებამოსილება გააჩნია, და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია თხოვნით მიმართოს სახელმწიფო ბრალმდებლის (პროკურორის)სამსახურს საქმე აღძრას ადმინისტრაციულ სასამართლოში არჩეული წარმომადგენლის ან ორგანოს უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე

II. პასუხისმგებლობის დადგომა

ა. ფინანსური ზარალის პასუხისმგებლობის დადგომა

1. **უზრუნველყოფის ფუნქცია და სანქციები**

გარდა ფინანსური დარღვევებისათვის/დანაშაულისათვის ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის (სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას) პასუხისმგებლობის დაყენებისა, განსხვავება უნდა არსებობდეს მოქალაქეების დაცვის მიზანსა (რომლებმაც შესაძლოა მცირე გადაცდომაზეც კი (სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას) ან ყოველგვარი გადაცდომის გარეშე დამდგარ ზიანზე/ზარალზე პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვონ) და სანქციების დაწესების მიზანს შორის (რომელიც მოიცავს უკანონო და არაკეთილსინდისიერ განზრახვას).

აღნიშნული ტენდენციის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მთლიანობაში სამოქალაქო და ფინანსური პასუხისმგებლობა უნარჩუნდება და ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების წინააღმდეგ მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში აღიძრება საქმე. მძიმე დანაშაულის არსებობა, ასეთ შემთხვევებში, შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და ბევრ ქვეყანაში, მძიმე დანაშაული რომელიც არჩეული წარმომადგენლის ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას იწვევს, შესაძლოა, გამონაკლის შემთხვევებში სისხლის სამართლის დანაშაულს ემთხვევა/გადაფარავს.

ესპანეთმა, სამართლებრივ სისტემაში ზემოაღნიშნული ორი მიზნის გაერთიანება წარმატებულად შეძლო. ესპანეთში ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა ობიექტური რეალობაა, იგი რაიმე სახის დანაშაულის ან კანონდარღვევის არსებობას არ საჭიროებს. სამართლებრივი ღონისძიებებით რეგრესიის უფლების გამოყენება არჩეული წარმომადგენლის და საჯარო მოხელის წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ "დანაშაულის, თაღლითობის ან დაუდევრობის" საფუძველზე. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ იგივე კრიტერიუმები გამოიყენება არჩეული წარმომადგენლის ან საჯარო მოხელის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა ან სისხლის სამართლის დანაშაულის დაყენებისას; ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მძიმე სახის უკანონობასა და თაღლითობას.

საფრანგეთში, *tribunal des conflicts*-ის გადაწყვეტილების თანახმად, 1873 წლის 30 ივლისს პელეტიეს საქმის განხილვისას, მიღებული იქნა ქმედებათა თეორია, რომლებსაც "სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან კავშირი არ აქვთ". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქმედებები რომლებიც გამომდინარეობენ პერსონალური მართლსაწინააღმდეგო ქმედედიდან, რომელსაც პირი ჩადის "სისუსტის დროს, ძლიერი აღელვებით და დაუფიქრებლობით", ცნობილი ტერმინები, რომელსაც დღესდღეობით *commissaire du gouvernement* -ი იყენებს.. აღნიშნული განცალკევებული დანაშაულებანი შედარებულია საქმიანობის არაკეთილსინდისიერად წარმართვასთან ან პირდაპირ დანაშაულთან. ესპანეთში, ადმინისტრაციას საქმიანობის არაკეთილსინდისიერად წარმართვის გამო, უფლება აქვს გამოიყენოს მხოლოდ რეგრესის უფლება თავისი არჩეული წარმომადგენლის ან მოხელის მიმართ. პირდაპირ დანაშაულის შემთხვევაში აღნიშნული წესები არ მოქმედებს, მაშინაც კი, თუკი ადმინისტრაციას დაეკისრება დამდგარი ზიანის/ზარალის კომპენსაციის ვალდებულება.

ᲡThe *tribunal des conflicts -ის* მიერ 1935 წლის 15 იანვრის Thepaz-ის საქმის განხილვისას დაადგინა რომ (სისხლის სამართლებრივი დევნისას) საქმიანობის არაკეთილსინდისიერად წარმართვის ან დაუდევრობითი დანაშაულის შემთხვევაში დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, და აუცილებელი აღარ ხდება დადგენა იყო თუ არა დანაშაული მძიმე, სამსახურეობრივ მოვალეობის შესრულებასთან კავშირში მყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. გარემოებების სწრაფი ცვლილების მიუხედავად, კანონმდებლობა ნაკლები ტემპით იცვლება.

2. ობიექტური პასუხისგებლობა და პასუხისმგებლობა ხელქვეითთა ქმედებებზე

არჩეული წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამართლებრივი ბაზის გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანი შედეგების მომტანია, რადგან კანონებით რეგულირდება არა მარტო კონტრაქტით გათვალიწინებული პასუხისმგებლობა, სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად ან დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულისას დამდგარი პასუხისმგებლობა, არამედ რეგულირდება ობიექტური პასუხისმგებლობა და ხელქვეითთა ქმედებით დამდგარი პასუხისმგებლობა.

იტალიაში, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ სამართალწარმოება საშუალებას იძლევა მათ წინააღმდეგ დადგეს ობიექტური პასუხისმგებლობის საკითხი; მაგალითისათვის შენობის დანგრევის ან ხელისუფლების მხრიდან სახიფათო საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზიანი/ზარალის გამო.

მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს, აგრეთვე, არჩეული წამომადგენლების პასუხისმგებლობას თავიანთი ხელქვეითების ქმედებასა თუ უმოქმედობაზე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უფლებების დელეგირებას აქვს ადგილი. აღნიშნული სახის პასუხისმგებლობა გამართლებულია, რადგან მოთხოვნის სახით ჩადებულია მათზე ზედამხედველობა. პრაქტიკაში ამგვარი სახის პასუხისმგებლობა ობიექტურ პასუხისმგებლობასთან ახლოს დგას, რადგანაც დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში იმდენად ბევრი საქმიანობა ხორციელდება, რომ ყველ მათგანის მონიტორინგი შეუძლებელია.

ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ღონისძიებები სამოქალაქო მოსამსახურეთა მიერ მზადდება. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ამ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელნი არჩეული წარმომადგენლებიც არიან. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, არსებობს სამართლებრივი მექანიზმები, რომელის მეშვეობითაც სამოქალაქო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის დაყენება შესაძლებელი ხდება არაკომპეტენტური, დაუდევრობით ჩადენილი და უპატიოსნო საქმიანობისათვის.

საფრანგეთსა და ფინეთში სამოქალაქო მოსამსახურე, არჩეული წარმომადგენელთან ერთად თანაბრად არის პასუხისმგებელი მის მიერ მომზადებულ გადაწყვეტილებებზე, გადა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ფორმალურად (საფრანგეთში წერილობითი ფორმით) არ დააფიქსირებს მიღებულ გადაწყვეტილებასთან თავის უარყოფით დამოკიდებულებას.

საფრანგეთში, არჩეული წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობა თავიანთი ქვეშევრდომების ქმედებებზე თითქმის არ არსებობს, რადგან სახელმწიფო მოხელეები ხელისუფლების სახელით მოქმედებენ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს რა იურიდიულ პირს, ზარალის/ზიანის დადგომის შემთხვევაში, ვალდებულია თავის სახელმწიფო მოხელეებზე პასუხისმგებლობა აიღოს. ამასთანავე, გააჩნია მათსავე წინააღმდეგ რეგრესის უფლების გამოყენების შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში, არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც მთავარი განკარგულებების გამცემის, სხვაგვარად დადგებოდა და განიხილებოდა როგორც სისხლის სამართლის სასამართლოთა განხილვის საგანი.

გაერთიანებულ სამეფოში, სამოქალაქო მოსამსახურის პასუხისმგებლობა დგება მათზე დელეგირებული უფლებამოსილების შემთხვევაში.

რუმინეთში, ის სამოქალაქო მოსამსახურე, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ადმინისტრაციული ზომები მიიღო, ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან ერთად თანაბრად იყოფს პასუხისმგებლობას. დაზარალებულმა შესაძლოა პირადად სამოქალაქო მოსამსახურის წინააღმდეგ აღძრას საქმე, ამ უკანასკნელის ქმედების ან უმოქმედობის გამო, მაგრამ, რადგანაც პასუხისმგებლობა გაზიარებულია, სამოქალაქო მოსამსახურეს ხელისუფლების წინააღმდეგ რეგრესის უფლების გამოიყენება გააჩნია.

თუკი გადაწყვეტილების შემუშავებასა და მომზადებაში სამოქალაქო მოსამსახურეს დიდი წვლილი მიუძღვის, და იმის გათვალისწინებით, რომ მათაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ისინი განტევების ვაცის მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდნენ. ყველა სახელმწიფოში სადაც კანონის უზენაესობა არსებობს, პასუხისმგებლობა ძალაუფლების მეორე მხარეს წარმოადგენს , არჩეული წარმომადგენლები არ ახდენენ თავიანთი პასუხისმგებლობის სამოქალაქო მოსამსახურეებზე გადანაცვლებას, არამედ ითხოვენ თითოეული მხარის პასუხისმგებლობის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებას/განსაზღვრას.

3. ზოგადი სამართალი და სპეციალური იურისდიქცია

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სასამართლოს აწესებს ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობას. ესენია - სამოქალაქო სასამართლო, ადმინისტრაციული სასამართლო, სამოქალაქო სასამართლოს დანაყოფები რომლებიც სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ დავებს განიხილავენ, ან რამდენიმე სასამართლოს კომბინირებული ვარიანტი.

დანიაში, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არჩეული წარმომადგენელის წანააღმდეგ საქმე შეიძლება სამოქალაქო სასამართლოში აღიძრას.

გაერთიანებულ სამეფოში, სამართალწარმოების პრეროგატივა მაღალი მართლმსაჯულების სასამართლოს ეკუთვნის, თუმცა, დღემდე აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევები ძალზედ მცირეა.

ესპანეთში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საქმეებს ადგილობრივი ხელისუფლება განხილვას. პირველ რიგში, პლენალურ ასამბლეაზე ხდება ზიანის/ზარალის განხილვა და საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა. შემდეგ, საქმე გადაეცემა სასამართლოს (ადგილობრივი რეჟიმის მარეგულირებელი ბაზა -LRBRL, მუხლი 78-1).

როცა პირის პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება, ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებზე სხვადასხვა იურისდიქცია მოქმედებს. ავტონომიური ერთეულების არჩეული წარმომადგენლები, აღმასრულებელი ორგანოების და ასამბლეების წევრები შეღავათიანი სამართლებრივი რეჟიმით სარგებლობენ (რომელიც მათ იცავს). მათი საქმე განიხილება ან უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ ან ავტონომიური ერთეულის მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ.

გერმანიაში, საქმეებს განიხილავს ზოგადი სასამართლო, ხელმძღვანელობენ რა სამოქალაქო კოდექსის 31-ე, 278-ე, 831-ე და 839-ე მუხლებით.

შვეიცარიაში, ზოგიერთ მხარეში (კანტონში) წინასწარი ადმინისტრაციული პროცედურები არსებობს. თუკი აღნიშნული პროცედურები არაეფექტური გამოდგა, საქმე სამოქალაქო სასამართლოში იგზავნება. ბოლო ინსტანციის სასამართლო ფედერალური სასამართლოა. ადმინისტრაციული სასამართლოები განიხილავენ არჩეული წარმომადგენლის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან მძიმე დაუდევრობის საქმეებს.

შვედეთში, არჩეული წარმომადგენლების მიმართ პასუხისმგებლობის სამართლებრივად დაყენება თეორიულად შესაძლებელია (თუმცა, ისინი აღიქმებიან როგორც კოლეგიალური ორგანო). მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების საკითხს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს; თუმცა, მას უფლებამოსილება არ აქვს ფიზიკური პირის ქმედებას მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაცია მიანიჭოს. სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში გაუქმებული გადაწყვეტილების შედეგად დამდგარი ზიანის/ზარალის ანაზღაურების საკითხი რაიონულ სასამართლოებში განიხილება.

საფრანგეთშიც მსგავსი სისტემა მოქმედებს; ადმინისტრაციული სასამართლო ტერიტორიული იურისდიქციით (გასაჩივრების შემთხვევაში: ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოები და სახელმწიფო საბჭო) უფლებამოსილია განიხილოს საჯარო დაწესებულებების და ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებათა კანონიერების საკითხი. მან შესაძლოა კომპეტენციის მიღმა (*ultra vires)* განიხილოს ქმედებები, კომპეტენციის მიღმა (*ultra vires)* ქმედებებზე სამართალწარმოება დაიწყოს, ან

ზარალის/ზანის კომპენსირება მოახდინოს (სასამართლო სამართალწარმოებისას), მაგრამ მას უფლება არ აქვს, პირად საფუძველზე, ფულადი/ფინანსური სანქციები დააკისროს უშუალოდ ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენელს. იტალიაშიც მსგავსი სისტემა არსებობს.

რუმინეთში, ადმინისტრაციული ქმედებების კანონიერების მონიტორინგს ახდენს სამოქალაქო სასამართლოს სპეციალიზირებული ორგანოები (ადმინისტრაციული სარჩელის განყოფილებები). ზემოთხსენებული სამსახურები ახდენენ იმ პირების ფინანსური და არა ფინანსური ზარალის კომპენსაციას, რომლებიც ადმინისტრაციული ქმედების საფუძველზე დაზარალდნენ.

4. სადაზღვეო სისტემის რეგულაციები

არჩეული წარმომადგენლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირადი პასუხისმგებლობა შეიძლება გახდეს სამართალწარმოების საფუძველი. არსებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახის დაზღვევები ექვემდებარებიან მცირე რეგულაციებს და ბაზარს.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებში სადაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების მეტი ტრადიცია არსებობს, ადგილობრივი წარმომადგენლების მხრიდან დაზღვევის აღების ტრადიცია მხოლოდ ახლა ყალიბდება. დაზღვევის ქონის აუცილებლობა გამოწვეულია მსგავსი პასუხისმგებლობის დაყენების ხშირი შემთხვევების და ადგილობრივი პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა კომპლექსურობის გამო. ამის გამო, სადაზღვეო კომპანიები რისკების რაოდენობრივი შეფასებისას მრავალ სირთულეს აწყდებიან და ამიტომაც, ეს მზარდი ბაზარი მათთვის ნაკლებად მიმზიდველია.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საკითხი გაცილებით მარტივად დგას. რეგიონში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების მცირეწლოვანი ისტორიის, ამ საკითხის სიახლიდან გამომდინარე და სადაზღვეო კომპანიების განვითარების საწყის ეტაპზე ყოფნის გამო, ამ სფეროში ნაკლები რეგულაციები მოქმედებს. არ არსებობს დაზღვევის აღების სავალდებულო წესი, რადგანაც არ არსებობს სადაზღვეო კომპანია, რომელიც ამგვარ პროდუქტს შესთავაზებდა.

ადგილობრივი ხელისუფლებისათვის სადაზღვეო კონტრაქტის ჩამოყალიბება პირველად საფრანგეთში მოხდა. დღეისათვის მათ ნებაყოფლობითი ხასიათი აქვთ, თუმცა მათი არსებობა რეკომენდირებულია. დღესდღეობით არსებობს კონტრაქტის მხოლოდ სამი ფორმა. სადაზღვეო კომპანიებს უფლება აქვთ მხოლოდ ამ სამი ფორმის ფარგლებში მოახდინონ მათი სრულყოფა. ჰარმონიზაცია მიღწეულია საგანგებო სამუშაო ჯგუფების საფუძველზე, რომლებშიც შედიან არჩეული წარმომადგენლების, სახელმწიფო და სადაზღვეო კომპანიების წარმომადგენლები.

ადგილობრივი ხელისუფლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადაზღვეო პოლისის საშუალო წლიური ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე 5 ფრანკს შეადგენს.

ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ინდივიდუალური დაზღვევის პოლისი საკუთარი სახსრებით შეიძინონ.

უკვე ათი წელია რაც ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებისათვის არსებობს "იურიდიული დახმარების" დაზღვევა, რომელიც ადგილობრივი წარმომადგენლების სასამართლო წარმოებისას დაცვის და რეგრესის უფლების გამოყენების შემთხვევაში წარმოქმნილ ფინანსურ ხარჯებს ნაწილობრივ ფარავს. არჩეული წარმომადგენლებისათვის ეს ყველაზე საჭირო და პოპულარული დაზღვევის სახეობაა.

იტალიაში, ხელისუფლებისათვის ნებაყოფლობითია სამოქალაქო დაზღვევის აღება, ხოლო არჩეული წარმომადგენლებს შეუძლიათ ამგვარი დაზღვევის საკუთარი სახსრებით შეძენა.

ესპანეთში, ხელისუფლებას დაზღვევის შეძენა შეუძლია კერძო სადაზღვევო კომპანიებისაგან ან ორმხრივი ტიპის ასოციაციებისგან.. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მრავალ ორგანოს ამგვარი სახის დაზღვევა გააჩნია.

სკანდინავიის ქვენებში, ადგილობრივი ხელისუფლებები ვალდებულნი არიან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი იქონიონ. თუმცა, როგორც შვედეთში, ადგილობრივი წარმომადგენლების ინდივიდუალური დაზღვევა ნებადართული არ არის, ან თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად გამოყენებადი არ არის, რადგანაც ამ ქვეყნებში ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ინდივიდუალური სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების ფაქტების გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენენ.

გერმანიაში, ადგილობრივი თემები დაზღვევას იღებენ სპეციალიზირებულ სადაზღვევო კომპანიებში, რომელთა კონტრაქტებიც, როგორც წესი, სახელმწიფო ორგანოებში კონსტიტუციური გზით დანიშნული წარმომადგენლების პირადი პასუხისმგებლობის პუნქტსაც შეიცავენ.

ბ. სისხლის სამართლის დარღვევაზე პასუხისმგებლობა

1. საარჩევნო მანდატიდან გამომდინარე იმუნიტეტის საკითხი

ეროვნული პარლამენტის წევრების მსგავსად, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებიც არჩეულნი არიან პირდაპირი არჩევნები გზით. ამიტომაც, კითხვა შეიძლება წარმოიშვას იმის შესახებ, მიენიჭოთ თუ არა ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებს, დემოკრატიული ლეგიტიმურობის გათვალისწინებით, საპარლამენტო იმუნიტეტის მსგავსი იმუნიტეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო იმუნიტეტი,იმ დროინდელი მემკვიდრეობაა, როცა ჯეროვნად განუვითარებელი დემოკრატიის დროს, აუცილებელი იყო საკანონმდებლო ასამბლეის წევრების განსაკუთრებული დაცვა ძალთა განაწილების პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით.

მაშასადამე, იმუნიტეტის მინიჭების აუცილებლობა გამართლებული იყო საკანონმდებლო პროცესში არასათანადო ჩარევის თავიდან ცილების მიზნით. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებს არ აქვთ საკანონმდებლო უფლებები.[7]

უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში საპარლამენტო იმუნიტეტის პრინციპი დავის საგანს წარმოადგენს, რადგან მოქალაქეებს უჭირთ იმის გაგება თუ რატომ არ უნდა მიეცენ პასუხისგებაში მათი არჩეული წარმომადგენლები დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ამ მიზეზის გამო, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებისათვის იმუნიტეტის არსებობას გამართლება არ გააჩნია.

მეორემხრივ, კითხვა შეიძლება დაიბადოს იმის შესახებ, ხომ არ იქნებოდა სასურველი არჩეული წარმომადგენლების სიტუაციის გათვალისწინება)როდესაც ისინი შეზღუდულნი არიან გადაწყვეტილების მიღებაში) და ახალი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც აშკარად განსხვავებული იქნებოდა არსებული სისტემისაგან.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია კონკრეტულად სისხლის სამართლის დარღვევის პასუხისმგებლობის სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.

---

[7] აღნიშნული დებულება არ ეხება ისეთი ქვეყნების რეგიონებს, რომლების საკანონმდებლო ფუნქციით არიან აღჭურვილნი (ესპანეთი, იტალია) და ფედერალური ტიპის სახელმწიფოებში – ფედერალურ პარლამენტებს.

2. მძიმე დანაშაულიდან უპასუხისმგებლობამდე და დაუდევრობამდე

ამ კონტექსტში, დაუდევრობით ჩადენილი დანაშაული წარმოშობს ყველაზე მეტ პრობლემას, ვინაიდან და რადგანაც მისი არეალი ძალიან ფართოა. იგივე სახის ქმედება ან უმოქმედობა შესაძლოა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდეს ფინანსური, მატერიალური და არსებული ადამიანური რესურსების გათვალისწინებით რომელიც არჩეული წარმომადგენლის განკარგულებაშია.

საფარნგეთში, 1996 წლის 13 მაისს მიღებული (No. 96-393) კანონი, ამ პრობლემის საპასუხოდ ითხოვს რომ პროკურორმა ან სხვა მოსარჩელე მხარმ წარმოადგინოს არასაკმარისი გულმოდგინეობის დამადასტურებელი საბუთი ამოცანების არსის, ფუნქციების, უფლებამოსილების და რესურსების გათვალისწინებით.

არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისადმი ასეთი მიდგომა გამოიწვევს, როგორც სამართლიანობის საკითხი, გამართლების საშუალებას. მაგალითად: მხედველობაში შეიძლება მიღებული იქნეს სხვა მხარეების (საჯარო მოხელეებიდ ა სამოქალაქო მოსამსახურეები) ხელშემწყობი მოქმედება(ნამდვილად, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12-1 მუხლის თანახმად "პირი პასუხისმგებელია მხოლოდ თავის ქმედებებზე),

მიუხედავად ყველაფრისა, სასამართლო საქმეების რაოდენობა ძალზედ მოხშირდა, განსაკუთრებით იმ საქმეებისა რომლებიც შეეხება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს, რომელსაც ფარავს სისხლის სამართლის კოდექსის 121-3 მუხლი "გაუფრთხილებლობა, დაუდევრობა ან სხვების განზრახ საფრთხეში ჩაგდება", სისხლის სამართლის კოდექსის 223-1 მუხლი ითვალისწინებს სხვა პირების საფრთხეში ჩაგდების დანაშაულის დასჯას თავისუფლების 1 წლის ვადით აღკვეთით და ფულადი ჯარიმით (100 000 ფრანგული ფრანკი).

სიცოცხლის და ფიზიკური ხელშეუხებლობის საფრთხეში ჩაგდება უსაფრთხოების ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობით (რომლის შესრულებაც კანონით და ნორმატიული აქტით არის გათვალისწინებული), არის ოფიციალური დანაშაული, რომელიც პირობად არ მოითხოვს ზარალის ან რაიმე შემთხვევის დადგომას.

თავდაპირველად ალქოჰოლური ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის პირის დასასჯელად შემოღებული აქტი (თუნდაც საგზაო შემთხვევის დადგომის გარეშე), ამჟამად გამოიყენება უსაფრთხოების ნებისმიერი წესების დარღვევის შემთხვევაში.

სისხლის სამართლის პალატის საკასაციო სასამართლომ მის ახლანდელ დადგენილებაში დაამტკიცა, რომ ტერიტორიული ხელისუფლების კოდექსის L 2212-2 მუხლის თანახმად, მერის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამომდინარეობდა მისი მაკონტროლებელი უფლებამოსილების შეუსრულებლობიდან[8].

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უმოქმედობის გამო, თუნდაც მაშინ როდესაც რაიმე სატრანსპორტო შემთხვევა, და რაიმე ზარალის/ზიანის არ დგება წარმოადგენს ისეთი სახის პასუხისმგებლობას, რომელიც ძალზედ სწრაფად ვრცელდება და რომელიც დიდი განხილვების საგანი ხდება.

გარემოზე მავნე ზეგავლენა (წყლიდან, წყლის გამწმენდი სადგურებიდან, ნარჩენებიდან და ნაგავსაყრელებიდან), კლასიფიცირებულია როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, რომლისთვისაც ზიანის/ზარალის დადგომის ფაქტი საჭირო კომპონენტს არ წარმოადგენს. „ობსტრუქციული დანაშაულის“ კონცეფცია, სადაც კანონის დარღვევა წარმოიქმნება მხოლოდ კანონის შეუსრულებლობით, „ქმედების შედეგებიდან გამომდინარე დამდგარ დარღვევების“.[9] პარალელურად ვითარდება

---

[8] შეიძლება მაგალითისათვის მოყვანილი იყოს ფრანგი გასამართლებული მერის მაგალითი. იგი გასამართლებული იყო მაკონტროლებელი უფლებამოსილების ფარგლებში წყლის გამწმენდი სადგურის ცუდად ფუნქციონირების გამო; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერმა სადგურის რესტავრაციის მიზნით თხოვნით მიმართა მუნიციპალური საბჭოს რომელმაც მას ამ თხოვნას უარით უპასუხა, შესაბამისად მერი თავის ქმედებაში შეიზღუდა. მეორე მაგალითი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არჩეული წარმომადგენელი გასამართლებული იყო ფიზიკურად შეუძლებელი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შემდეგი განმარტებით: ” არჩეულ წარმომადგენელს შეუძლებელი და დაუძლეველი შემთხვევის დროს, ყოველთვის აქვს გამოსავალი - გადადგომა ”.

[9] 1992 წლის 3 იანვარს მიღებული საფრანგეთის კანონი ”წყლის შესახებ” მუხლი 22 მკაფიოდ აყალიბებს დებულებებსა და სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს წყლის დაბინძურებას (ხარისხის გაფუჭებას) და არაურბანული კოდექსის დარღვევას. მერის ვალდებულებაში შედის გარკვეული შედეგების მიღწევა; საბიუჯეტო რესურსების საკითხი არ განიხილება და ფინანსური საშუალებების ნაკლებობა გასამართლებელ საბუთად არ მიიღება (მონბელიარის სისხლის სამართლის სასამართლო, 1994 წლის 2 დეკემბერი).
მერები ხშირად ისეთ მდგომარეობაში ექცევიან, როდესაც მათზე დაკისრებული ვალდებულებები მკაფიოდ არ არის გაწერილი (საკასაცაო სასამართლო, სისალის სამართლის პალატა 1996 წლის 36 აპრილი, ოვერნის რეგიონი ბრეტონის წყლები და მდინარეები: მდინარეზე წარმოებული (არასანქცირებული) სამუშაოების შედეგად განადგურებული თევზ საშენი მეურნეობა ისჯება არაურბანული კოდექსის 232-3 მუხლით) და როდესაც მათ კანონთა წინააღმდეგობასთან აქვთ საქმე : გადაუდებელი ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება სისხლის სამართლის დანაშაულად

სიცოცხლიეზე და ფიზიკური მთლიანობაზე წინასწარ განუზრახავი საზიანო ზეგავლენა (იხილეთ სისხლის სამართლის კოდექსის 222-19, 222-20 და 221-6 მუხლები) ითვალისწინებს სისხლის სამართლის სანქციებს და მათი დაცვა წარმოადგენს მერის და მუნიციპალიტეტის თავჯდომარის მოვალეობას. საფრანგეთში მერები შეაშფოთა იმ სიახლემ რაც გულისხმობს ფულადი ჯარიმების და პირობით პატიმრობის სასჯელის შემოღებას.

ამგვარი ვალდებულება, რომელიც ამჟამად ყველა ადგილობვირ თანამდებობის პირზე ვრცელდება (თანამონაწილეობის, ინტერვენციის ან არაკანონიერი უმოქმედობის შეთხვევაში), განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ გასართობ დაწესებულებებთან. [10] ამგვარი სისხლის სამართლის დევნა მერის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ გასართობ დაწესებულებებთან, განვითარდა მიუხედავად 1996 წლის 13 მაისს მიღებული კანონისა, რომელშიც ნათქვამია რომ დაუდევრობასთან ერთად საჭიროა რიგ შემთხვევებში არსებობდეს "საჭირო მზრუნველობის ნაკლებობის" სამხილი. ხოლოდ როდესაც საქმე არაკანონიერ უმოქმედობას ეხება, არჩეული წარმომადგენლების მიმართ შესაძლოა გამოყენებული იყოს სადამსჯელო ღონისძიებები იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაწესებულ ვადებში საქმეს არ გადასცემენ უსაფრთხოების კომიტეტს.ა

საფრანგეთში, პასუხისმგებლობის ასეთი სახე დებატების საგანია, თუმცა განხილვის საგანს არ წარმოადგენს დანაშაულის ისეთი სახეები, როგორიცაა პასიური კორუფცია, ზეგავლენის მოხდენა და საზოგადოებრივი თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. დებატების საგანია შემდეგი სახის დანაშაულებანი - ინტერესების უკანონო გამოყენება (მუხლი 432-12) და არაკანონიერი უპირატესობის მინიჭება (მუხლი 432-14) სადაც სისხლის სამართლის განზრახვა არ არის საჭირო და სადაც გვხვდება ე.წ. "საგნობრივი დანაშაული", რომელიც საჭიროებს ობიექტური პასუხისმგებლობის დაყენებას. [11]

მიიჩნევა, მაგრამ აქვე, უმოქმედობა ამ ვითარებაში წარმოშობს იგივე სახის დანაშაულს თუკი მდინარის ნაპირის ჩამოქცევით პირს ზიანი მიადგა (უბედური შემთხვევისას) ... რადგან აღნიშნული კვალიფიცირდება სხვათა საფრთხეში ჩაგდებად.

[10] მსგავსი სახის სისხლის სამართლის დევნა ძალაშია ისრაელში, წმინდა ლორენ დე პონის მუნიციპალიტეტის საცეკვაო დარბაზში გაჩენილი ხანძრის შემდეგ, როდესაც აღნიშნულის გამო, ლიონის სისხლის სამართლის სასამართლოს 1972 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დამნაშავედ იქნა მიჩნეული მერი.

[11] არაკანონიერი უპირატესობის მინიჭება - ეხება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ საჯარო კონტრაქტების დადების წესების დარღვევას. იგი დისკუსიის საგანია, რადგანაც დანაშაულის არსებობისსათვის არ არის აუცილებელი უპირატესობის ან სარგებლის (*quid pro quo)*. ადგილობრივი უკანონო უპირატესობის მინიჭება ახლომახლო დაარსებული დაწესებულებებისთვის კვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, მაშინაც კი

და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში სამოქალაქო კოდექსის ცვლილების შემდეგ, არ არსებობს განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულის ცნება, მოსამართლის მხრიდან იქნება მცდელობა დაადგინოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დარღვევის განზრახვა, სავარაუდოდ წინასწარი (რომელის დადგენაც ასევე საჭიროა (*nemo censetur ignorare legem*)).

შვედეთში, არსებობს შედარებით მარტვი და ადვილად გასაგები სისტემა: არჩეული წარმომადგენლების თავიანთი პროფესიული ვალდებულებების ფარგლებში არსებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი მოქცეულია ერთი სათაურის ქვეშ - ”თანამდებობის ბოროტად გამოყენება“. ძალაუფლების ამგვარი ბოროტად გამოყენება ან უმნიშვნელოა (არჩეული წარმომადგენლის ძალაუფლებიდან გამომდინარე: *კონკრეტული* შეფასება) და ბრალეულობის დამადასტურებელი სამხილი არ არსებობს, ან საშუალო სიმძიმისაა, რომელიც ისჯება ჯარიმით და 2 წლამდე პატიმრობის შეფარდებით, ან პირიქით, სერიოზულია (თანამდებობის ბოროტად გამოყენების მძიმე შემთხვევები) რომელიც ისჯება 6 წლამდე პატიმრობით.

ქმედება ან გაუფრთხილებლობა ასევე უნდა იყოს წინასწარ, განზრახ ჩადენილი, რაც სასჯელს ზღუდავს განზრახ ჩადენილ ქმედებებზე, თუმცა უმოქმედობაც შესაძლოა მოიცვას. სისხლის სამართლის დევნა ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდება არ შეიძლება წაყენებული იყოს ეროვნული ან მუნიციპალური ასამბლეების წევრთა წინააღმდეგ.

ესპანეთში, როდესაც ბრალდება უმოქმედობას ან გაუფრთხილებლობას ეხება, სამართლებრივად ან ხელშეკრულების/კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, აუცილებელი წესით მოითხოვება მოქმედების ვალდებულება. (აღნიშნული უფრო მეტ გარანტიებს უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის დაყენებისა ვიდრე ფრანგული სისტემა) რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მერის ზედამხედველობით ძალაუფლებასთან , რომელიც საქმის ვითარებიდან გამომდინარე, შეუზღუდავია)

თუ არჩეული წარმომადგენელი ამისათვის საპასუხოდ არაფერის იღებს. აღნიშნული სიმკაცრე გამომდინარეობს იქიდან , რომ ევროპის ყველა ქვეყანაში ვრცელდება მსგავსი წესები და კანონები, ადგილობრივი კონტრაქტების შეუზღუდავად გაფორმების უფლებიდან გამომდინარე. აქედან, შეუსაბამო /არა შესატყვისი ჩარევა (იგივე ინტერესის არაკანონიერი გამოყენება) წარმოადგენს ისეთი სახის დანაშაულს, როდესაც არ არის საჭირო არაკეთილსინდისიერების ფაქტის არსებობა, ვინაიდან ის უშუალოდ ეხება პროფესიული ქცევის კანონის დარღვევას.

გაერთიანებულ სამეფოში, ”სისხლის სამართლის განზრახვა” ან ბრალეული ნების (*mens rea)* არსებობა არის მნიშვნელოვანი წინაპირობა აღძრული იყოს არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა, პოზიტიური ქმედების ან უმოქმედობის პასუხისმგებლობის დამკვიდრების მიზნით.. აშკარა განზრახის ელემენტის ამ მოთხოვნაშაში უნდა გამოირიცხოს გაუფრთხილებლობა და დარჩება რამდენიმე ან საერთოდ არ იარსებებს არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის წარმოების პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია პროფესიული ვალდებულებების შესრულებასთან.

გერმანიაში, სისხლის სამართლის დანაშაულის სასჯელის სახეებს ფედერალური კანონი არეგულირებს. დანაშაული არ არის მიჩნეული დასჯადად თუ არ არსებობს ბრალეული ნება (*mens rea).* არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის წარმოება იშვიათი მოვლენაა, თუმცა, სისხლის სამართლებრივი დევნის საშიშროება გაიზარდა გარემოს დაცვითი კუთხით გამკაცრებული კანონმდებლობის გამო, რაც არჩეულ წარმომადგენლებს გარკვეული უსაფრთხოების არარსებობის განცდას უქმნის.

ამჟამად ცხარე დებატები მიმდინარეობს მოქალაქეთა მხრიდან გამოყენებულ მზარდ სამართლებრივ შეზღუდვებსა და ზეწოლის ფაქტებზე. არჩეული წარმომადგენლების მხრიდან, აღნიშნული საკითხის დასმა განაპირობა თავიანთი სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს არსებულმა რისკებმა (როგორც საფრანგეთში), რომლებსაც ისინი საფრთხის შემცველად მიიჩნევენ, და ითხოვენ კონკრეტული დაცვის მექანიზმების შემუშავებას. საზოგადოება კი პირიქით, უფლებამოსილების პროპორციული პერსონალური პასუხისმგებლობის არსებობის მომხრეა.

იტალიაში, პასუხისმგებლობის საკითხი დაკავშირებულია განზრახ ჩადენილ დანაშაულთან. კოლეგიალურ ორგანოს, საჭიროებისამებრ, შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის ან უმოქმედობის გამო (თავის კომპეტენციათა ფარგლებში); იმის მიუხედავად, რომ პასუხისმგებლობა ინდივიდუალურია, კოლეგიალური ორგანოს წევრების, რომლების კეთილი განზრახვით მოქმედებდნენ, გასამართლება არ შეიძლება. უმოქმედობის ბრალდება უმთავრესად ეხება მერს (მაგალითისათვის, როდესაც მისი მხრიდან არ არის საგანგებო ღონისძიებები გატარებული წყლის დაბინძურების ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების არსებობისას). ზოგადად (უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის ან უმოქმედობის დროს), ჩადენილი უკანონობის შედეგების უმნიშვნელობა განსაზღვრავს შემამსუბუქებელ გარემოებას.

ბელგიაში, სისხლის სამართლის კოდექსში მითითებულია ის დანაშაულებანი, რომელიც არჩეული წარმომადგენლის მხრიდან არ უნდა იყოს ჩადენილი, თუმცა, არსებული შეზღუდვები იშვიათად ან არასდროს გამოყენებულა. არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ (როგორც ნებისმიერი ინდივიდისა), როდესაც საქმე ეხება ადამიანის მკვლელობას გაუფრთხილებლობით ან არა საკუთარი ნებით მიყენებული სხეულის დაზიანებისათვის. აღნიშნული სამართალდარღვევები ეფუძნება წინდაუხედაობას და გამაფრთხილებელი ზომების არგატარების ბრალეულობას.

პრეცედენტული სამართალი, სისხლის სამართლის დანაშულს აიგივებს სამოქალაქო სამართლის დანაშულთან. შედეგად, ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაყენება დაკავშირებულია უმნიშვნელო დანაშაულის არსებობასთან. აღნიშნული ფაქტი მოსამართლეს, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულებრივ საქმეს იხილავს, უფრო მეტ საშუალებას აძლევს გაცილებით მკაცრი ზომები მიიღოს დაზარალებულისათვის კომპენსაციის მიღების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ეწინააღმდეგება იმ დოქტრინას, რომლის თანახმადაც, მოცემულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზღვარი პირდაპირი დანაშაულის არსებობის შემთხვევაში (მძიმე დანაშაული ან უმნიშვნელო დანაშაული) რომელიც მოპასუხის მხრიდან უნდა შეფასებული იყოს ბრალდებულის სიფხიზლის და გულმოდგინების არსებული პოტენციალის მიხედვით.

შემთხვევები, როდესაც აღნიშნული წესები გამოიყენება, იშვიათია. თუმცა საფრანგეთში, მერების შემთხვევაში აღნიშნული დებულებები შეიძლება შეეხოს რიგი ღონისძიებების გაუტარებლობას ბურგომისტრის ზედამხედველობითი ძალაუფლების გათვალისწინებით. პრაქტიკაში, ბურგომისტრები და მათი მოადგილეები გასამართლებულნი იყვნენ მხოლოდ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, რადგანაც მოსამართლეები საქმეს აღძრავენ მხოლოდ გარკვეული სიმძიმის ფაქტების არსებობის შემთხვევაში. თუმცა პირი, რომელსაც ზიანი/ზარალი მიადგა არ იზღუდება დამნაშავის წანააღმდეგ საჩივარი გამასწორებელ სასამართლოში შეიტანოს.

თურქეთში, ჩვეულებრივი სისხლის სამართლის კანონი ვრცელდება არჩეულ წარმომადგენლებზე. თუმცა ჯერ შესაბამისი ადმინისტრაციული უწყება (სახელმწიფო მოხელეთა სასამართლო) წყვეტს არის თუ არა თითოეული მათგანი უკანონო ქმედების ჩამდენი და უნდა მოხდეს თუ არა ბრალეული არჩეული წარმომადგენლის ჩვეულებრივი სასამართლოს მიერ გასამართლება.

შვეიცარიაშიც, სხვადასხვა დონეზე წინასწარი სანქციების სისტემის არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს, სანამ გარკვეული სახის სამართალწარმოება დაიწყებოდეს ფედერალური კანონის დარღვევის და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დანაშაულის ან სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში.

ესპანეთში ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლები გათავისუფლებულნი არიან პასუხისმგებლობისაგან, თუკი ისინი იცავენ ტექნიკური ორგანოების მითითებებს რეგულირებად საკითხებში და თუკი კეთილი განზრახვით მოქმედებენ.

გაერთიანებულ სამეფოში, სპეციალური ორგანოების შექმნის საკითხი განხილვის სტადიაშია. აღნიშნულ საგანგებო ორგანოს კონსულტაციის გავლისა და მის მიერ მოსაზრების/დასკვნების დაფიქსირების შემდეგ აღიძვრება საქმე არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ. თუ სამართალწარმოება გამართლებულად ჩაითვლება, აღნიშნული ორგანოს მიერ შემუშავებული მოსაზრებები/დასკვნები მოსამართლისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ. აღნიშნული გამოსავალი ამგვარად ეხმაურება სპეციალიზირებული მოსამართლეთა არარსებობის უკმარისობის საკითხს. [12]

---

[12] აღნიშნული დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოები წარმოადგენენ "ადგილობრივი მმართველობის მოდერნიზების - ახალი ეთიკური ჩარჩოს " პროექტის ფარგლებში ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების დისციპლინარული პასუხისმგებლობის სისტემის რეორგანიზების ნაწილს; რეორგანიზება შედგება ორი მნიშვნელოვანი ნაწილისაგან:

- სამართლლებრივი ჩარჩოების ცვლილება: **ადგილობრივი ხელისუფლების ქცევის ეროვნული კოდექსი** ჩანაცვლდება თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ქცევის კოდექსით. ისინი უნდა ითვალისწინებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაციის მიერ ნიმუშად მომზადებულ კოდექსში არსებულ პრინციპებს რომლებიც მოწონებულია გარემოს დაცვის , ტრანსპორტის და რეგიონების სახელმწიფო მინისტრის, ხოლო დამტკიცებულია პარლამენტის ორივე პალატის მიერ

- ნახევრად სასამართლო ფუნქციით აღჭურვილი ახალი ორგანოს შექმნა:

• სტანდარტების კომიტეტი თითოეულ მუნიციპალიტეტში, რომელიც აირჩევა საბჭოს მიერ და მინიმუმ ერთი ან ორი დამოუკიდებელი წევრი ეყოლება. აღნიშნული კომიტეტი უფლებამოსილი იქნება სანქციების რეკომენდაციას გაცემაზე იმ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ, ვინც დაარღვევს ადგილობრივ კოდექსის დებულებებს;
• სტანდარტების საბჭო, რომელიც შედგება რეგიონული არბიტრებისა (როგორც პირველი ინსტანციის ორგანოები) და ეროვნული/ცენტრალური არბიტრებისგან); მიზანშეწონილია საბჭოს წევრები წარდგენილნი იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ და დაინიშნონ ზემოთ ხსენებული სახელმწიფო მინისტრის მიერ. საბჭო უფლებამოსილი იქნება დისციპლინარული ღონისძიებები მიიღოს იმ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ, რომელიც დაარღვევს შესაბამის ადგილობრივ კოდექსს; დისციპლინარული ღონისძიებებია - საზოგადოებრივი გაკიცხვა, სამ თვემდე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლება ან თანამდებობიდან გათავისუფლება ხუთ წლამდე. გარდა ამისა, საბჭოს შესაძლოა უფრო პრაქტიკული როლი ქონდეს მუნიციპალური საბჭოებისათვის მითითებებისა და რჩევების მიცემის კუთხით.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ზოგადი შენიშვნები

წევრი ქვეყნების მიერ კვლევის ფარგლებში გაზიარებული პასუხები, რომლებიც შეეხება ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხს, ნათლად ასახავს პოლიტიკური სისტემის მრავალფეროვნებას; ამგვარი პასუხისმგებლობის სფეროს გაფართოების ისტორიული ტენდენციის გათვალისწინებით, საჭიროა სათანადო გზების მხედველობაში მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება გამართული და ჰარმონიზირებული კანონმდებლობის მიღება.

ამ პოლიტიკურად მგძნობიარე სფეროში (რადგანაც იგი ეხება ძალთა გადანაწილებას საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ძალებს შორის), ქვეყნები თავიდან ვერ აიცილებენ არსებული კანონების დახვეწას.

ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს კერძო უფლებების დაცვა, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების და არჩეული წარმომადგენლებისგან, ამ უკანასკნელის საქმიანობისათვის ხელის შეშლის გარეშე. მაშასადამე, ახალი ბალანსი ისეთი სახის გარანტიის არსებობის აუცილებლობას მოითხოვს, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს უფლებების დაცვას და ავტონომიასაც (რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება დეცენტრალიზებული სისტემის დროს ითხოვეს).

ვინაიდან, კანონით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპის თანახმად, არჩეული წარმომადგენლები არ უნდა გაურბოდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას, ჩვეულებრივი მოქალაქის მსგავსად. ის ფაქტი რომ მათი როლი საყოველთაო საარჩევნო უფლებისაგან, და მათი ამოცანების კომპლექსურობიდან გამომდინარეობს (გარემო, ქალაქის დაგეგმარება, ეკონომიკა, სოციალური საკითხები) თანამედროვე ქვეყნებში შეიძლება გულისხმობდეს, რომ ისინი სპეციალურ პროცედურებს დაექვემდებარონ.

კანონის მიერ გათვალისწინებული თანასწორობა ნიშნავს, რომ ისინი არ უნდა გაექცნენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას,. თანასწორობა მოითხოვს, რომ მათ უნდა აიღონ თავიანთ თავზე მხოლოდ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა და არ

იქცნენ განტევების ვაცებად თანამედვორე საზოგადოებაში არსებული ყველა უბედურებისთვის..

ამ მხრივ, ზოგიერთ ქვეყანაში, არჩეული წარმომადგენლები თვლიან, რომ ისინი მეტისმეტად ექვემდებარებიან სამართლებრივი დევნის საშიშროებას. მიმდინარე დებატი შეეხება მოქალაქეების უკმაყოფილების რისკს, რომელიც იქმნება არჩევითი თანამდებობის გაზრდილი პასუხისმგებლობის შედეგად.

ამგვარი საშიშროება არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი ან შეუფასებელი, ისევე როგორც ადგილობრივი პოლიტიკური ჯგუფის კომპეტენცია და გულმოდგინეობა, რომელიც ეფექტური ადგილობრივი დემოკრატიისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მეორე მხრივ, არ უნდა შემცირდეს მოქალაქეების დაცვაზე ზრუნვა და თავიდან უნდა იქნეს აცილებული წარმომადგენლების დაუსჯელობა.

ამიტომაც, ადგილობრივი დემოკრატიისა და მეტი სამართლებრივი დაცულობის მიზნით, საჭიროა პასუხისმგებლობის ახალი წესების განსაზღვრა კონკურენტულ ლეგიტიმურ ინტერესებს შორის სამომავლო კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით.

არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ იწვევს რაიმე შეშფოთებას და არ მოითხოვს კომენტარების გაკეთებას გარდა იმისა რასაც უკვე შეიცავს CDLR-ის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის აუდიტს და იურიდიულ კონტროლს.

მეორეს მხრივ, აუცილებელია იმ პრობლემების ხაზგასმა, რომელიც წარმოიქმნება არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის დაყენებით, ფინანსური ზარალის მიყენების და სისხლის სამართლის დარღვევის შემთხვევაში.

2. უპირატესი პრევენციული ზომები

უცილებელია პრევენციული ზომების გატარება ადგილობრვ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებამდე. აღნიშნული ხელს შეუწყობს იმ ზიანის აცილებას რომელიც შესაძლებელია მოქალაქეებს მიადგეთ. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისას მოქალაქეები ხშირად ხვდებიან ისეთ ვითარებაში,

როდესაც ზიანი/ზარალი მიყენებულია და კომპენსირების მექანიზმი შესატყვისი არ არის.

მოქალაქეებისათვის და არჩეული წარმომადგენლებისათვის უმთავრეს გარანტიას ეფექტური სამართლებრივი კონტროლის მექანიზმები წარმოადგენენ. ამის გათვალისწინებით, CDLR ი თავისი მოხსენების დასკვნით ნაწილში ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე, სამართლებრივ ზედამხედველობასა და აუდიტზე, თუმცა ეს ღონისძიებები საკმარისი არ არის.

ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების საქმიანობა უფრო და უფრო რთულდება. ამის მიზეზს, ერთის მხრივ, წარმოადგენს გადაწყვეტილებათა სირთულე რომლებსაც ისინი იღებენ, ხოლო მეორე მხრივ, ვრცელი და პუნქტობრივად გაწერილი სამართლებრივი ჩარჩოების ცოდნის და მათი გათვალისწინებისა თუ განხორციელების აუცილებლობა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყველა ადგილობრივი წარმომადგენელი არ არის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში ექსპერტი და შესაბამისად მათ არ შეუძლიათ თვალი ადევნონ კანონის ცვლილებასა და იმ რეგულაციებს, რომლებიც მათ საქმიანობს ეხება. [13]

ქვემოთ ჩამოთვლილი ხუთი ის ღონისძიება ხელს შეუწყობს იმ პრობლემების შემცირებას, რომლებიც ადგილობრივი წარმომადგენლების პასუხისმგებლობას იწვევს:

- ***სამართლებრივიჩარჩოების გამარტივება***

სამართლებრივი რეგულაციათა სირთულე და სწრაფი ცვლა ხშირ შემთხვევაში იწვევს იმას, რომ არჩეული წარმომადგნელებები ვერ ახერხებენ იმ სამართლებრივი ვალდებულების გაცნობას, რომელიც მათ აკისრიათ და მათი პასუხისმგებლობის განხორციელება დაკავშირებულია, უფრო მეტად, იღბალზე ვიდრე მათ გულმოდგინებაზე. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია იმ კანონთა და რეგულაციათა რაოდენობის შემცირება რომლითაც ადგილობრივი წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ. კონკრეტულად საუბარია მინისტრთა ბრძანებებსა და წერილობითი

[13] მაგალითისათვის საფრანგეთში სადაც ძალაშია 7500 კანონი და 80 000 ბრძანებულება და ყოველწლიურად 10 000 – 15 000 მდე წერილობითი ინსტრუქცია გამოიცემა, ნაკლებ სავარაუდოა არჩეული წარმომადგენლების მხრიდან მათი გაცნობა.

ინსტრუქციებზე. ასევე რეკომენდებულია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებული სამართლებრივი რეგულაციები წარმოდგენილი იყოს კონსოლიდირებული კანონმდებლობის სახით.

- *ინფორმაციის შეგროვების, ორგანიზებისა და დამუშავების სისტემების გაუჯობესება (განსაკუთრებით სამართლებრივი ტექსტებისათვის)*

ამ სფეროში, ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენენ საკმაოდ იაფ, ხელმისაწვდომ და ეფექტურ საშუალებებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართ არსებული კრიტიკა უფრო მეტად დაკავშირებულია ამ საშუალებების გამოყენების უგულველყოფასა და სიახლეებისადმი წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებასთან, რომლებიც ნამდვილ მიზეზს არ წარმოადგენენ. კარგად დაპროგრამებული და კარგად მართული ელექტრონული მონაცემთა ბაზა თავისთავში ითავსებს უზარმაზარი ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის ფუნქციას; იმ ორ მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

- *ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების ტრენინგი*

ამ მიმართულებით ძალისხმევა არ უნდა იყოს გამოვლენილი მხოლოდ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან. ეროვნულმა მთავრობებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლებისათვის თავიანთი სამართლებრივი ვალდებულებების შესწავლის მიზნით ტრენინგების გაუმჯობესებისათვის. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პროფესიული უნარ–ჩვევების გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა არ უნდა დაიშურონ მნიშვნელოვანი, მათ შორის ფინანსური ძალისხმევა. [14]

- *ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის საკონსულტაციო (იურიდიული) მომსახურების შეთავაზება*

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის პროცესის დასაწყისში ცენტრალურ ხელისუფლებების მხრიდან ამგვარი ლოგისტიკური დახმარება უარყოფილი იყო.

[14] მაგალითისათვის საფრანგეთში ყველა ადგილობრივი წარმომადგენელი ვალდებულია წელიწადში ერთი დღე დაუთმოს ტრენინგს, რომელიც ტარდება ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერით. ტრენინგებს ატარებენ ტრენინგ ორგანიზაციები, რომლებიც აკრედიტირებულნი არიან არჩეული წარმომადგენლების ტრენინგის ეროვნული კომიტეტის მიერ.

ამგვარი სანდო და სწრაფი მომსახურების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია რადგან ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებს თავიანთი გადაწყვეტილებების კანონიერებაში დარწმუნების საშუალება ეძლევათ.

- *ეფექტური შიდა ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება*

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან შიდა სამართლებრივი ზედამხედველობის მექანიზმების ჩამოყალიბება მეტად მნიშვნელოვანია. სისტემა უზრუნველყოფს თავიანთი სამუშაოს ეფექტური განხორციელების სტიმულირებას და თავიანთი საქმიანობის პერიოდულ შეფასებას იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში საჭირო ღონისძიებები გაატარონ ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნული განსხვავებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს იმ პრობლემების შემსუბუქებას, რომელიც შეეხება ადგილობრივი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის შემსუბუქებას და არ უკავშირდება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას; შემდეგი მიდგომებიდან გამომდინარე:

- არჩეული წარმომადგენელი თავის თავზე იღებს მძიმე დანაშაულზე პასუხიმგებლობას (სამოქალაქო, დისციპლინარული ან სისხლის სამართლის)

- ხელისუფლება თავის თავზე იღებს არაეფექტური მართველობის პასუხისმგებლობას მოხდეს მოქალაქეების უფლებების დაცვის მიზნით

როდესაც საქმე სამოქალაქო პასუხისმგებლობას ეხება, რამდენიმე ქვეყნის მსგავსად, რეკომენდირებულია დაზარალებული მხარის მიერ უშუალოდ ხელისუფლების წინააღმდეგ ჩივილი. მეორეს მხრივ, არჩეული წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩივილი შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში.

აღნიშნული მიდგომა მოქალაქეების უფლებების დაცვასაც უწყობს ხელს რადგანაც პასუხისმგებლობის საკითხზე საქმის აღძვრა არ საჭიროებს უშუალოდ დამნაშავე პირის (ორგანოს) გამოვლენას, რაც კომპენსაციის გადახდის შემთხვევაში მეტ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, რადგანაც კომპენსაციის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება.

როცა საქმე ხელისუფლების პასუხისმგებლობას ეხება, აუცილებელია ადმინისტრაციის წინააღმდეგ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების

მექანიზმების ჩამოყალიბება იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაცია ეწინააღმდეგება აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას.

ზოგადად, არჩეული წარმომადგენლის პასუხისმგებლობის დაყენება ხდება მხოლოდ უწყების შიგნით. ხელისუფლებამ შეიძლება გამოიყენოს რეგრესის უფლება ბრალეული არჩეული წარმომადგენლის მიმართ.

აღნიშნული უფლება შეიძლება გამოყენებული არ იქნეს იმ შემთხვევაში თუ ბრალეულის მხრიდან ჩადენილია უმნიშვნელო დანაშაული ან თუ მხედველობაშია მიღებული პირის განსაკუთრებული გულმოდგინება თავის სამუშაოს მიმართ.

ამგვარი მიდგომის გამოყენება შესაძლებელია არჩეული წარმომადგენლის დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემთხვევისას: ავტომატური სანქციების გამოყენება შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული და არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს უკანონო ქმედების განზრახ ჩადენის ან გარკვეული სიმძიმის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

კოლეგიალური გადაწყვეტილების შემთხვევაში (კერძოდ, აღმასრულებელი ორგანოს) პირადი პასუხისმგებლობის საკითხი უმჯობესია დადგეს მხოლოდ მხარდაჭერილ გადაწყვეტილებებზე. თუმცა, აღნიშნული გამოსავალი შეიძლება შეიცავდეს რისკებს, რადგანაც შესაძლებელია მთელი კოლეგიალური საქმიანობის ბლოკირებბა თუკი მისი წევრები დაყენებულ გადაწყვეტილებებს მხარს არ დაუჭერენ მათზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. შიდა სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის შემთხვევაში აღნიშნულის რისკი ძალზედ დაბალია, რადგან არჩეული წარმოდგენელი ხელისუფლების მიმართ არის პასუხისმგებელი, ხოლო უშუალოდ პასუხისმგებლობის დაყენების შემთხვევები ითვალისწინებს მხოლოდ მძიმე დანაშულის არსებობას.

4. დანაშულის სიმძიმიდან გამომდინარე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვა.

საფრანგეთში, არჩეული წარმომადგენლების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი საქმეების აღძვრა განპირობებულია ორი ფაქტორით; 1 სისხლის სამართლებრივი სფეროს გაფართოება, 2 დაზარალებული მესამე მხარის მიერ, მიყენებული

ეკონომიკური ზარალის გამო, ანაზღაურების მიღების მიზნით. აღნიშნული სახის სამართლებრივი დევნა არჩეული წარმომადგენლის წინააღმდეგ, მედია გავლენის გათვალისწინებით, შეიძლება მძლავრ პოლიტიკურ იარაღად იქცეს. ამჟამად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ხდება სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე გადასვლა.

აღნიშნული ფენომენის არსებობას რამდენიმე მიზეზი აქვს. 1. რომლის თანახმადაც სისხლისსამართლებრივი დევნა ბლოკავს სამოქალაქოსამართლებრივ დევნას 2. სისხლისსამართლებრივი დევნის უპირატესობა სამოქალაქოსამართლებრივ დევნასთან შედარებით იმის გამო რომ,: ა. დაზარალებულისათვის უფრო სწრაფი და იაფი საშუალებაა; ბ. ბრალდების წაყენება ხდება პროკურორის მხრიდან, რომელსაც ძიების უკეთესი საშუალებები გააჩნია ცალკეული ინდივიდისაგან განსხვავებით; გ. ზარალის კომპენსაცია დაზარალებულისათვის უნდა იყოს სწრაფი და იოლი.

არჩეული წარმომადგენლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეზღუდვამ, და არა მთლიანად მოხსნამ, შესაძლოა გამოიღოს დადებითი შედეგები. პირველ რიგში ეს აისახება მოქალაქეების მიერ შეტანილი საჩივრების რაოდენობაზე, რომელთა საფუძველზე კომპენსაციის მოთხოვნის ადრესატი უშუალოდ ხელისუფლება იქნება. მოსამართლეთა თავისუფლება გაცილებით მეტი იქნება არჩეული წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის დადგენისას, რადგანაც, ასეთი სისტემის ფარგლებში, დაზარალებული მხარისათვის კომპენსაციის გადახდის წინაპირობა აღარ იქნება პირადი პასუხისმგებლობის ოფიციალური განაცხადი.

საქმე, ამ შემთხვევაში შეეხება იმას, გადადგმული იქნას თუ არა შემდგომი ნაბიჯები და შესაძლებელია თუ არა არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მაშინ, როდესაც კეთილსინდისიერების საკითხი ეჭვ ქვეშ არ დგას.

საუბარი, რა თქმა უნდა არ არის არჩეული არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე მაშინ, როდესაც პირი ბოროტად იყენებს სამსახურეობრივ თანამდებობას ნებისმიერი სახის სარგებლის მიღების მიზნით. დღესდღეობით აქტუალურია არჩეული წარმომადგენლის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას არაკეთილსინდისიერი ქმედებებისათვის განსაკუთრებულად მკაცრად დასჯა.

როგორც ზემოთ იყო განხილული, არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაყენება შეიძლება მოხდეს დაუდევრობითი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ზედამხედველობითი უფლებამოსილების გამოყენების ან არგამოყენების დროს. აღნიშნული ვითარება ხშირია იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ერთი შეხედვით არჩეული წარმომადგენლი ჯეროვანი გულმოდგინებით მოქმედებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბარია იმაზე, უნდა იყოს თუ არა მესამე მხარის ფიზიკური უვნებლობის საკითხთან დაკავშირებული უნებურად ჩადენილი დანაშაულისათვის არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობა დანაშაულის სიმძიმის განმაპირობებელი ფაქტორი

არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის განხორციელების შეზღუდვა ერთი მხრივ არსებულ მღელვარებას შეამსუბუქებს და, მეორე მხრივ, დაუსჯელობის შეგრძნების გარეშე, მოქალაქეებს საშუალებას მისცემს სრულად გამოიყენონ თავიანთი, როგორც ამომრჩეველის მანდატი.. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (რომელიცგანცალკევებული იყოს უნდა კომპენსაციის ანაზღაურებიდან, რომლის გადახდა დანაშაულის ფაქტის არარსებობის დროსაც შესაძლებელია) შეფასებული იქნება რამდენიმე ფაქტოროს გათვალისწინებით - იყო თუ არა დანაშაული წინასწარი განზრახვით ჩადენილი, რა სიმძიმის დანაშაული ჩაიდინეს და რა გარემოებებში ჩაიდინეს დანაშაული (უმეცრება, საჭირო ინფორმაციის ან საშუალებების არქონა).[15]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამსახურეობრივი საქმიანობის არაკეთილსინდისიერი წარმოებისათვის (რომელმაც ზარალი/ზიანი გამოიწვია (ზოგ შემთხვევაში ზარალი/ზიანი გამოწვეული შესაძლოა არ იყოს დანაშაულებრივი ქმედებით)) პასუხისმგებელი ადმინისტრაცია არის. ხელისუფლების უკან არჩეული წარმომადგენლის დგომა შესამჩნევი არ არის მანამ. სანამ არ არის პირდაპირი დანაშაული:

- ხელისუფლებისათვის ჩვეულებრივი სამოქალაქო პასუხისმგებლობა;

---

[15] საფრანგეთის კანონმდებლობაში მკვიდრდება ადმინისტრაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დამახასიათებელი ნიშნების გადატანა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფეროში. 1996 წლის 16 დეკემბერს მიღებული 96-1093 კანონის (რომლის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა ტერიტორიული ხელისუფლების ორგანოების თანამდებობის პირთა მარეგულირებელ დებულებებში) მე-11 მუხლის თანახმად ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თავისი მოხელე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, თუკი დანაშაული შეადგენს სამსახურეობრივი საქმიანობის არაკეთილსინდისიერ წარმოებას და არა ამ საქმიანობის გარდა სხვა რაიმე ქმედებას, რომელიც მხოლოდ თანამდებობის პირს შეიძლება მიეწეროს. .

- არჩეული წარმომადგენლისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მძიმე დანაშაულისთვის (რომელიც მოიცავს ფულად კომპენსაციას დაზარალებულისათვის ან რეგრესის უფლების გამოყენებას).

CDLR-ი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის შეზღუდვა შესაძლებელია გამართლებული იყოს. თუმცა, იგი საქმის კურსშია, რომ ამგვარ მგრძნობიარე სფეროში მნიშვნელოვანია ხალხის მოთხოვნების გათვალისწინებით ცვლილებების განხორციელება. აქედან გამომდინარე, ყოველმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს არჩეული წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ცვლილება შეესაბამება თუ არა მოქალაქეთა მოლოდინს და ინტერესებს.

5. მოსამართლეთა სპეციალიზაცია

ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის სპეციფიურობა და კომპლექსურობა არ უნდა დარჩეს სათანადოდ შეუფასებელი. საქმის ტექნიკური მხარის ზრდა, ვრცელი რთული სამართლებრივი ჩარჩოები და მოქალაქეთა გაზრდილი მოთხოვნები : ყველა ეს ჩამოთვლილი პუნქტი არჩეული წარმომადგენლებისათვის და მოსამართლეებისათვის, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღება უწვეთ ადმინისტრაციულ აქტებზე, მღელვარების საგანს წარმოადგენს.

ის ფაქტი არ უნდა იქნას მხედველობიდან გამორჩენილი, რომ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, ადმინისტრაცია თავისი დიდი მოცულობის საქმიანობიდან გამომდინარე, არჩეული წარმომადგენლებისაგან განსხვავებით შესაძლოა ბრალეული იყოს; ადმინისტრაციის უკანონო ქმედება არ არის აუცილებელი პირდაპირ კავშირში იყოს არჩეული წარმომადგენლების უკანონო ქმედებასთან.

მოსამართლეებს შეიძლება შეეთავაზოთ რამდენიმე გზა, რათა მათ ინფორმაციის სრული ფლობით (ყველა ფაქტის ცოდნით) და ძირეული კვლევის გარეშე შეძლონ გადაწყვეტილების მიღება თუ რა ღონისძიებები გატარდეს ადგილობრივი ხელისუფლების და მათ არჩეული წარმომადგენლების წინააღმდეგ.

- *სპეციფიური, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების ჩატარება მოსამართლეთათვის, რომლებმაც ამგვარი სახის საქმეებზე გადაწყვეტილებები უნდა გამოიტანონ*

- *სასამართლო სპეციალიზაცია*

ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ზოგიერთმა ქვეყანამ სრულია ცალკე მდგომი ადმინისტრაციული სასამართლოების ჩამოაყალიბა. სხვა დანარჩენმა ქვეყნებმა კი არსებული სასამართლო სისტემაში შექმნეს სპეციალიზებული სასამართლოები. ორივე სახის მიდგომა თანაბრად ეფექტურად მუშაობს და მათი გამოყენება რეკომენდებულია იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც თავიანთი სასამართლო სისტემის რეფორმირება სურთ.

- ***დამოუკიდებელი სპეციალისტების ორგანოთა წინასწარი დასკვნები***

წინა ორი განხილული ღონისძიების ალტერნატივას წარმოადგენს დამოუკიდებელ სპეციალისტთა ორგანოების ჩამოყალიბება, რომლებსაც მოსამართლეები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართავენ მოსაზრების მიღების მიზნით მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილების შესაბამისობაზე (ან არჩეული წარმომადგენლის ქმედებაზე) და სადავო გადაწყვეტილებებზე.

6. არჩეული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის დაყენების შედეგების შეზღუდვები

ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების საქმიანობამ შესაძლოა იმდენად მძიმე მატერიალური სირთულეები წარმოშვას, რომ დამნაშავე პირის მხრიდან მისი მთლიანი ანაზღაურება შეუძლებელი იყოს. ზოგიერთმა ქვეყანამ პასუხისმგებლობის ზედა ზღვარი დააწესა. ამ ზღვარის კეთილგონივრულ დაწესებას დადებითი შედეგების მოთანა შეუძლია არჩეული წარმომადგენლების დე-მიტივაციის გარეშე.

ამ სირთულეების თავიდან აცილების ყველაზე მარტივი და ეფექტური საშუალება დაზღვევის გამოყენებაა. დაზღვევის მიღების შესაძლებლობა დამოკიდებულია არა მარტო სამართლებრივჩარჩოებზე,, არამედ შესაფერისი სადაზღვეო პროდუქტების არსებობაზე. თუმცა, ამ სფეროში არსებული პირობების დაკმაყოფილებამ შესაძლოა ბაზრის სტიმულირება გამოიწვიოს. ამ მიმართულებით შესაძლებელია რიგი ღონისძიებების გატარება:

- *ადგილობრივი ხელისუფლების დაზღვევა*

იმისათვის რომ ადგილობრივი ხელისუფლებები წახალისდნენ რომ დააზღვიონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, შესაბამისი პირობების ჩადებაა საჭირო, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ასეთი დაზღვევით სარგებლობის უფლებას მისცემს.. ამგვარი დაზღვევის არსებობამ შესაძლოა შეამციროს ხელისუფლების მიერ არჩეული წარმომადგენლების მიმართ რეგრესის გამოყენების შემთხვევები მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერად მოქმედებდა.

- არჩეული წარმომადგენლების დაზღვევა

იმ ქვეყნებში სადაც ადგილობრივი ხელისუფლება არჩეულ წარმომადგენლებს არ უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით (ან არასაკმარისი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფს), რეკომენდებულია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კანონით დაიშვას უფლება თავის არჩეული წარმომადგენლების სახელით დააზღვიოს ის ქმედებების, რომელიც ჩადენილია სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას არა განზრახ და მცირედი დაუდევრობით. სულ მცირე, არჩეულ წარმომადგენლებს უფლება უნდა მიეცეთ მსგავსი დაზღვევა საკუთარი ხარჯებით აიღონ.

- ერთობლივი დაზღვევა

ზემოხსენებული რისკების დასაფარად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა დაუშვას და ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმომადგენლების ან ხელისუფლების მხრიდან ერთობლივი სადაზღვევო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

- **სადაზღვევო რისკების შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება და გაცხადება**

ღონისძიება, რომელიც ხელისუფლების და არჩეული წარმომადგენლების დაზღვევის აღების სტიმულირებას მოახდენს არის ეროვნულ დონეზე ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციის შეგროვებასა და განსაჯაროებაზე/გაცემაზე რომელიც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების სამოქალაქო პასუხისმგებლობას და არჩეული წარმომადგენლის, როგორც სამოქალაქო ისე დისციპლინარულ პასუხისმგებლობას. ეს საშუალებას აძლევს ადგილობრივ წარმომადგენლებს და თავად დამზღვევს უკეთ მოახდინონ ამგვარი რისკების შეფასება.

ტერმინთა განმარტება

დისციპლინარული პასუხისმგებლობა

საჯარო მოხელის (წარმომადგენლის სამოქალაქო მოხელის, დასაქმებულის) ვალდებულება აანაზღაუროს ფინანსური ზარალი, რომელიც მათ საზოგადოებას მიაყენეს.

არაკეთილსინდისიერება

შეუსაბამო, არაპატიოსანი საქციელი, არაგულწრფელობა და არალიალურობა, რომელიც შემდგომ მოსამართლის მიერ იქნა დამტკიცებული და შედეგად ბრალეული პირის მიმართ არასასურველი ზომების მიღება გამოიწვიოს . ეს შესაძლოა ვითარებიდან გამომდინარე, აისახოს პასუხისმგებლობის ერთობლიობაში, უფლებების შეკვეცის ან შეღავათების დაკარგვაში.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა

იურიდიული ან ფიზიკური პირის (კერძო ან საჯარო) ვალდებულება, აანაზღაუროს ზარალი რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან კონტრაქტის ცუდად შესრულებით , რომელიც იწვევს საკონტაქტო პასუხისმგებლობას. ან ისეთი ვალდებულების დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალური ქმედებით სხვა პირისათვის, აგრეთვე მზრუნველობის ქვეს მყოფი ობიექტისათვის ზიანის/ზარალის მიყენების დაუშვებლობას. ან პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი პირების მიერ სხვა

პირისათვის ზიანის/ზარალის მიყენება, იქნება ეს განზრახ თუ განზრახვის გარეშე ჩადენილი ქმედების შედეგი.

სამოქალაქო მოსამსახურე

სამოქალაქო მოსამსახურე არის მოქალაქე, რომელიც კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

იურიდიული ან ფიზიკური პირის (კერძო ან საჯარო) ვალდებულება კანონით გათვალისწინებული პირობების თანახმად, წარდგეს სასამართლოს წინაშე ყველა იმ ქმედებისათვის რომელიც კლასიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და რომელიც წარმოადგენს კანონით დასჯად ქმედებას.

ზიანი/ზარალი

ერთი პირის უკანონო ქმედებით მეორე პირისათვის მიყენებული ზიანი. მიყენებული ზიანი/ზარალი ექვემდებარება კომპენსირებას.

ბოროტი განზრახვა

მეორე პირისათვის განზრახ ზიანის/ზარალის მიყენების მიზნით არის ჩადენილი დანაშაული.

კეთილსინდისიერება

ამ ტერმინის ორი სახის განმარტება გამოიყენება: პირველი გულისხმობს სამართლებრივ გარიგებებში (კერძოდ კონტრაქტების დადებისას) არსებულ პატიოსნებას. შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს მცდარ და არადანაშაულებრივ რწმენას სამართლებრივი ნორმის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ. გარკვეულ შემთხვევებში კეთილსინდისიერებამ შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის სამართლის შემთხვევებში პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, როდესაც ბოროტი განზრახვა არის გასაჩივრებული (მაგალითისათვის კანონში არსებული ხარვეზი).

განზრახი ქმედება

ნიშნავს ისეთ დანაშაულს, როდესაც პირს გაცნობიერებული ქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი.

გაუფრთხილებლობითი დანაშაული

ისეთი დამოკიდებულება, რომელიც იწვევს ისეთ ქმედებას რომლის დორსაც არ ხდება ყველა საჭირო წინდახედულობის ნორმების გათვალისწინება

ადგილობრივი არჩეული წარმომადგენელი

ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო სამსახურში მომსახურე პირი: ადგილობრივი ხელისუფლების საბჭოს წევრები, რომელიც თავიანთი ასამბლეების მიერ აღმასრულებელი ფუნქციითაც შეიძლება აღიჭურვონ და, ზოგ ქვეყანაში, გულისხმობს პირდაპირი არჩევნების გზით არჩეულ მერებს.

ადგილობრივი წარმომადგენელი

არის ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლის უფრო ზოგადი ცნება, რადგან იგი მოიაზრებს ყველა პირს, რომელიც დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო დაწესებულებაში ადგილობრივ დონეზე და ანგარიშვალდებულია მის მიმართ. ამგვარად, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების და

ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების ყველა წევრი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი არჩევნების გზით არჩეული ან სხვა გზით დანიშნული, წარმოადგენენ ადგილობრივ წარმომადგენლებს.

ბოროტი განზრახვა / *mens rea*

თაღლითური ქმედება რომელიც მიზნად ისახავს კანონიერ გარიგებაში მონაწილე რომელიმე მხარის თანხმობის მოპოვებას, ხშირ შემთხვევაში კონტრაქტის საშუალებით. სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ბოროტი განზრახვა გულისხმობს დანაშაულის ფსიქიკურ ელემენტს რომლის საფუძველზეც ბრალეულ პირს სურდა დანაშაულის ჩადენა (იხილეთ წინასწარი ბოროტი განზრახვა).

დაუდევრობა

ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული

ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი თუ პირს გაცნობიერებული ქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი. ჩვეულებრივ, სისხლის სამართლის კანონი მოითხოვს სანქციის დაწესებამდე განზრახვის დადგენას, გარდა დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულისა.

ობიექტური პასუხისმგებლობა/პასუხისმგებლობა დანაშაულის გარეშე

პასუხისმგებლობა ობიექტურია როდესაც იგი ავალდებულებს პირს, პასუხისმგებლად ცნობის შემდეგ, აანაზღაუროს ზარალი რომელიც მისი ბრალეულობით არ იქნა გამოწვეული.

დანაშაული/ კანონდარღვევა

ქმედება, რომელიც საკანონმდებლო ან სამართლებრივი აქტის თანახმად: ჩადენის შემთხვევაში, ბრალეულის (ფიზიკური ან იურიდიული პირის) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დააყენებს. სისხლის სამართალში კანონმდებლობით დადგენილი დანაშაულის გარდა სხვა სახის დანაშაულებები არ კვალიფიცირდება კანონდარღვევად, და მთავარი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში, რომ "დანაშაულისა და სასჯელის სახეები არის კანონით დადგენილი".

პირადი დანაშაული

სახელმწიფო მოხელის პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პერსონალური დანაშაული როგორც ადმინისტრაციულ ისე საერთო სასამართლოს თანახმად გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც ითვალისწინებს დაზარალებული პირის მიმართ ბრალეული მოხელის როგორც ფინანსურ, ისე პერსონალურ პასუხისმგებლობას მაშინაც კი, როდესაც უკანასკნელი ამ დროს სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა.

პერსონალური დანაშაული გამომდინარეობს ბრალეულის მხრიდან შეუფერებელ საქციელს და აქედან გამომდინარე, ხელისუფლება აღარ დგება სახელმწოფო მოხელესა და დაზარალებულს შორის. საჯარო სამართალში პერონალური დანაშაული და მძიმე დაუდევრობა ერთი და იგივე სახით კვალიფიცირდება.

პოლიტიკური პასუხისმგებლობა

სახელმწიფო დაწესებულებაში მომუშავე პირის ვალდებულება ამომრჩევლისა და რიგი საზედამხედველო ორგანოების მიმართ იყოს ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი სამსახურეობრივი საქმიანობის პერიოდში ჩადენილ ქმედებასა თუ უმოქმედობაზე.

საჯარო მოხელე

არის სამოქალაქო მოსამსახურის უფრო ზოგადი ცნება, რადგან იგი მოიაზრებს ყველა პირს (არჩეული წარმომადგენლის ჩათვლით) რომელიც დაკავებული თანამდებობის

შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო დაწესებულებაში და ანგარიშვალდებულია მის მიმართ.

მძიმე დაუდევრობა

მოსამართლის შეფასებუთ გულისხმობს უკანონო ქმედების გარკვეულ სიმძიმეს. მძიმე დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის დადგენის სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ მხარეებს, მოსამართლის მეთვალყურეობით, შესაძლებლობას აძლევს ჩამოაყალიბონ გარკვეული სამართლებრივი დასკვნა.

მძიმე დაუდევრობა შეიძლება შედარებული იყოს უხეშ დაუდევრობასთან, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის თანახმად, არის ისეთი სახის დანაშაული, რომელიც იწვევს სახელმწიფო სამსახურების, მათ შორის ბრალეული პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას რეგრესის უფლების გამოყენების მეშვეობით. აღნიშნული ეხება სახანძრო სამსახურს და პოლიციას, ხოლო ზოგადად კი ყველა სახელმწიფო სამსახურს, რომელსაც მძიმე ვითარებაში უწევთ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება და მოსამართლის მიერ ასეთსამსახურებად არიან ცნობილნი.

მსუბუქი დაუდევრობა

აღნიშნული მოიცავს დადგენილ ვალდებულებათა ნებისმიერი შეუსრულებლობის ფაქტს, მიუხეხავად სიმძიმისა.

მართლსაწინააღმდეგო ან ბრალეული ქმედება

პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება რომელიც არღვევს კანონით და სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვალდებულებებს; ან პირის მიერ გამოუცდელობის, გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით ან ბოროტი განზრახვით არის ჩადენილი.

უკანონო ქნედება რომელიც არსებითად არის დაკავშირებული სამსახურეობრივ უფლებამოსილების განხორციელებასთან/ საქმის არასათანადოდ წარმოებასთან

საფრანგეთში სახელმწიფო მოხელის არსებული პასუხისმგებლობის სისტემიდან გამომდინარე, ტერმინი აღნიშნავს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც არ წარმოადგენს პერსონალურ/პირად დანაშაულს და შესაბამისად პირს არ შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან საზოგადოების წინაშე. მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაითვლება არასათანადოდ საქმის წარმოებად და ხელისუფლება ბრალეულ პირისა და დაზარალებულს შორის ჩადგება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული არ გამორიცხავს დისციპლინურ სანქციების განხორციელებას ბრალეული პირის მიმართ.